# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ოთხშაბათი, 27 ივლისი, 2011 წელი.

№139 (6750)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## რატომ დაწყდა გული „ჯაშუშ" მაისაიას და რად უნდა დაკიდოს კაცმა აბდალაძე ფეხებით? ②

ერთ დღესაც ალაპარაკდებიან ჯაშუშობის „ამღიარებლები" და სიმართლე გაირკვევა, რადგან საქმეში ყველაფერი ჩანს



## აგენტებო, ფრთხილად! ⑪

## SOS!

## ფრთხილად მშობლებო, ავერსის „ლირიკა" კლავს! ⑨

ვისი ჯიბის გასქელებას ეწირება ჩვენი შვილების ჯანმრთელობა?







## მიშამ ③ „სასწაული ქვეყანა" აგვიშენა!..

მაგრამ ჩვენ რატომ ვერა ვხედავთ?

რამაზ საყვარელიძე:

## ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებები არადამაჯერებელია ②

## ახალი რევოლუცია, გადატრიალება თუ რიგითი უწესრიგობანი? ⑧

## ვინც წარსულს ქვას ესვრის, მომავლისგან ლოდს უნდა ელოდეს ④



## თუმცა ძვირია მგზავრობა, იაფად არ იქნებაო! ③

როდის იტყუებოდა მერია, მაშინ თუ ახლა?

## გოგი ბუკიას მეხუთე მემორიალი აჭარის „ოაზისში" ⑫




## საად არის სიმართლე?!

**მე იმიტომ ვისჯები, რომ ჯაშუშობა არ დავიბრალე, — შემოუთვალა ციხიდან საზოგადოებას ჯაშუშობაში ბრალდებულმა ყოფილმა ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ და ის მინავლებული ვნებათაღელვა გააღვივა, რომელიც ფოტორეპორტიორების გათავისუფლებამ ჩააცხრო. ძნელია, ადამიანის პირად ემოციებზე, გადაწყვეტილებებზე ობიექტური საუბარი, მითუმეტეს განსჯა, მაგრამ დღემდე არსებობს კითხვა: იყო ეს სამოქალაქო საზოგადოების გამარჯვება, თუ პირიქით, სახელმწიფომ გაიმარჯვა, როცა დაკავებულებმა ჯაშუშობა აღიარეს?**

გუშინ, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ეკა ბესელიას ორგანიზაციის — „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს!“ თაოსნობით გაიმართა კონფერენცია, რომელშიც ადვოკატები და ექსპერტები მონაწილეობდნენ. საუბრები ძირითადად ადამიანის უფლებებს შეეხებოდა, რაც, თავისთავად, მრავალ ასპექტს მოიცავს, მაგრამ ვერავინ აუარა გვერდი ფოტორეპორტიორების დაკავების თემას, მით უმეტეს, რომ ეკა ბესელია ერთ-ერთს — გია აბდალაძეს იცავდა.

სანამ ამ საკითხს შევეხებოდე, იმ გადაწყვეტილებაზე მოგახსენებთ, რომელიც დისკუსიის დროს გამოიკვეთა. ეს ეხება პენიტენციალური სისტემის საზედამხედველო ჯგუფის შექმნის იდეას, რომელიც უფლებადამცველებისგან უნდა ჩამოყალიბდეს. ირაკლი სესიაშვილმა გაიხსენა, რომ ეს ინიციატივა სწორედ სააკაშვილს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის იუსტიციის მინისტრი იყო და ამ გადაწყვეტილებაზე ხელიც კი აქვს მოწერილი. დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ იდეა მოიწონა, თუმცა აღნიშნა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგს ომბუდსმენის აპარატი და საია ერთობლივად ახორციელებენ. მსგავსი საბჭო პარლამენტშიც არსებობს, მაგრამ იგი მკვდრადშობილიაო, — დასძინა მან.

ადვოკატი **ზაზა ხატიაშვილი** კიდევ უფრო შორს წავიდა და აღნიშნა: **„იქნებ როგორმე მოვახერხოთ და რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას მიხეილ სააკაშვილი „პერსონა ნონ გრატად“ ვაღიარებინოთ. ადვოკატთა ასოციაციამ ასეთი განცხადება უკვე გააკეთა, ჩვენი დოკუმენტები კიდევ უფრო მყარია და არგუმენტებით გაჯერებული, ვიდრე ბელორუსელებისა, მაგრამ ლუკაშენკო ცნო ევროპამ „პერსონა ნონ გრატად“ ჩვენი „დემოკრატიის შუქურა“ კი არა“.** რაც შეეხება ლუკაშენკოს, რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილი ევროკავშირის წარმომადგენლებს მასზე ესაუბრა და უთხრა: თუ მას გარიყავთ, ის რუსეთის ლუკმა გახდებაო, ანუ ამით გარკვეული მინიშნება გააკეთა.

**ნანა კაკაბაძის** მტკიცებით, ევროპარლამენტში საქართველოს ოთხი უძლიერესი კომპანია ლობირებს, რომლებიც სააკაშვილის მთავრობაზე მუშაობენ. **„მერწმუნეთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ ძალიან ცოტა თუ იცის ჩვენს შესახებ. 26 მაისის შემდეგ გახლდით ევროპაში და ძლივს დავარწმუნეთ ევროპელები, რომ აქცია მშვიდობიანი იყო, და რომ ძალისმიერი მეთოდებით დაარბია ხელისუფლებამ. ერთ-ერთმა ევროპარლამენტარმა გვითხრა, როდის არის თქვენი პრეზიდენტი საქართველოში, როცა ყველა სხდომაზე აქ გვიზისო. რამდენიმე ფანი (ჩეხი და პოლონელი ქალი-დეპუტატები) ჰყავს, რომლებიც ხელებს უკოცნიანო, ანუ, რაც უნდა ვილაპარაკოთ, ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, რეჟიმი მყარდება. ამიტომ აუცილებელია საერთაშორისო არენაზე მოხდეს ამ რეჟიმის აღიარება და შეხედონ ისევე კრიტიკულად, როგორც აზერბაიჯანსა და სომხეთს უყურებენ“.**



რაც შეეხება დასავლელ პარტნიორებსა და მათ წარმომადგენლებს, ისინი გაოცებას ვერ მალავენ ფოტორეპორტიორთა საქმის გამო. რამდენიმე მონიტორი იყო ჩამოსული ევროპიდან, რომლებიც გაკვირვებულები არიან ჯაშუშების სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების გამო.

ჩვენს საზოგადოებაში გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს, რომ ფოტოკორესპონდენტების აღიარებისა არ სჯერა. ამით კმაყოფილია ექსპერტი **გია ხუხაშვილი,** რომელიც ირწმუნება, რომ სამოქალაქო აქტიურობამ ხელისუფლებას გეგმა შეაცვლევინა: **„გასაგებია, რომ აღიარებინეს, მაგრამ აქ ადამიანების სიცოცხლეზე იყო საუბარი. კონკრეტული ბრძოლა მოგებული გვაქვს“.** ამ აზრს კატეგორიულად არ ეთანხმება **„წინააღმდეგობის მოძრაობის“ ხელმძღვანელი სოსო მანჯავიძე: „ჩვენ რაზე ვიყავით ორიენტირებული? ვიბრძოდით სიცოცხლისთვის თუ სიმართლისთვის?! თუ ჯაშუშობა უდანაშაულოებმა დაიბრალეს, მაშ სად არის გამარჯვება?.. თუ მართლა იყვნენ დამნაშავეები და ჯაშუშები გამოვაშვებინეთ, მით უარესი, ანუ მაინტერესებს, ჩვენ გავიმარჯვეთ თუ დავმარცხდით?“**

## რატომ დაწყდა გული „ჯაშუშ“ მაისაიას და რად უნდა დაკიდოს კაცმა აბდალაძე ფეხებით?

### ერთ დღესაც ალაპარაკდებიან ჯაშუშობის „ამღიარებლები“ და სიმართლე გაირკვევა, რადგან საქმეში ყველაფერი ჩანს

**ნანა კაკაბაძის** თქმით, ეს უფრო ხელისუფლების გამარჯვებაა, ვიდრე სამოქალაქო სექტორის: **„რა იყო ფოტორეპორტიორების დაკავების მიზეზი? რომ მათ არ გაევრცელებინათ ის ინფორმაცია თუ ფოტოები, რაც ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა? ეს მოახერხეს. თანაც გააჩუმეს და გათავისუფლების შემდეგაც არავინ კრინტს არ ძრავს. ჯაშუშობის ბრალდებით ბევრი პატიმარი იხდის სასჯელს: ვახტანგ მაისაია, „ენვერის“ ბიჭები, „კოჭოიას საქმე“, ცოტნე გამსახურდია, მალხაზ არქანია — ისინი დანაშაულს არ იბრალებენ. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის გამარჯვება, ადვოკატის იარაღი უნდა იყოს სიმართლე“.**

უფლებადამცველების აზრი ორად გაიყო. ერთნი იმ უმძიმეს პირობებს, შეურაცხყოფისა და წამების ფაქტებს იშველიებენ, რომელიც ქართულ ციხეებში სუფევს. განსაკუთრებით, ეს ეხება გაუპატიურებას, რითაც ემუქრებიან პატიმრებს და რაც ადამიანის ღირსებას პირდაპირ ლახავს. მეორენი კი იმ „გმირების“ მაგალითებზე საუბრობენ, რომლებიც დღემდე ღირსეულად იხდიან სასჯელს. ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა ისიც კი შესძახა: ფეხებით უნდა დაკიდო აბდალაძე, რატომ გატყდა, როცა მას ეკასნაირი ადვოკატი იცავდაო? თუმცა ყველამ ერთხმად აღიარა ის, რომ ამ „ჯაშუშების“ ჯაშუშობისა არავის სჯერა.

**„მესმის სოსოსიც და მესმის ნანასიც, მაგრამ უმძიმესი მოცემულობა იყო, — აღნიშნა ეკა ბესელიამ, — ჩემს პრაქტიკაში ასეთი საქმე არ მქონია. აბდალაძე ხელს აწერდა ჯაშუშობის ბრალდებას და მეხვეწებოდა, შენც მოაწერეო, მე კი არ ვაწერდი. ეს იმიტომ, რომ ვხედავდი, როგორ აბსოლუტურად განადგურებული იყო, უუნარო, ყველა ოქმზე, სადაც კი ხელი მოვაწერე, აღნიშნული მაქვს, რომ ეს იყო ფარსი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ თავიდან ამ ბიჭების გათავისუფლებას არავინ არ აპირებდა. ჯერ ხუთ წელზე ელაპარაკებოდნენ, შემდეგ ერთზე, ყოველ შემთხვევაში, დარბაზიდან გაშვება არ იგეგმებოდა, რაც სამოქალაქო სოლიდარობის აშკარა შედეგია.**

**გამარჯვება მაშინ იქნებოდა, საპროცესო შეთანხმება რომ არ შემდგარიყო... მაგრამ ჯერ კიდევ არის შანსი, საქმე გაგრძელდეს. თუ ერთ დღეს გადაწყვეტენ და ალაპარაკდებიან, სიმართლე გაირკვევა. საქმეში ყველაფერი ჩანს“,** — დასძინა ეკა ბესელიამ.

**თეა მოსია**

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

# თანამშრომლობის პროგრამა კიდევ ხუთი წლით გაგრძელდა



**ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ბოლო გამოშვების „მოამბეში“ დაიბეჭდა ცნობა „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა“ და „ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიას“ შორის დადებული სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეკრულების შესახებ, რომელშიც ნათქვამია:**

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი **პროფ. თამაზ გამყრელიძე** იმყოფებოდა ქ. ვენაში მაისის თვეში „ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის“ 2011 წლის საზეიმო სხდომასთან დაკავშირებით. ქ. ვენაში ყოფნის დროს შედგა პროფ. **თამაზ გამყრელიძის** შეხვედრა ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ **ჰელმუტ დენკთან**, რომელზეც საზეიმო ვითარებაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიას შორის 1996 წლიდან არსებული სამეცნიერო თანამშრომლობის პროგრამის კიდევ ხუთი წლით გაგრძელების თაობაზე.

ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის არსებული განსაკუთრებული თანამშრომლობა მოიცავს მთელ რიგ სამეცნიერო დარგებს, დაწყებული „ბოტანიკით“ და დამთავრებული „ირანისტიკით“.

პროფ. ერენდორფერმა, ისევე როგორც ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ექსპრეზიდენტმა პროფ. **ჰერბერტ მანგმა**, რომელთაც განსაკუთრებით შეუწყვეს ხელი ჩვენს შორის არსებული ხელშეკრულების გაგრძელებას, ხაზი გაუსვეს ავსტრიის მეცნიერული წრეების მრავალხმრივ და მაღალ პროფესიულ თანამშრომლობას თავიანთ ქართველ კოლეგებთან, ისევე როგორც ამგვარი თანამშრომლობის აუცილებლობას ერთიანი ევროპული სამეცნიერო სივრცის შექმნის მიზნით.

**სურათზე: ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ჰელმუტ დენკი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, პროფესორი ერენდორფერი ხელშეკრულების ხელისმოწერის დროს.**

## პოზიცია

# რამაზ საყვარელიძე: ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებები არადამაჯერებელია

**რა იყო მნიშვნელოვანი მიმდინარე წელს, ვინ დარჩა მოგებული ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლიდან და რატომ განიცადა კრახი სრულიად ოპოზიციურმა სპექტრმა? ამის მიზეზებზე „პრესა.ჯი“-ს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე ესაუბრა.**

**— ვისთვის იყო მომგებიანი ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებული მოვლენები?**

— თუ ოპოზიციის მხარეს გადავიხედავთ, საინტერესო არაფერია. იქ არის ფიზიკური და ინტელექტუალური მარცხი 26 მაისს. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ მოქმედება მიმდინარეობდა ისე, რომ მათ ლიდერებს არანაირი გეგმა არ ჰქონიათ. ამას ემატება „ქართული პარტიის“ პოლიტიკური კრახი, რომელიც მათ განიცადეს და ეს მარცხი დღემდე გრძელდება. გარდა ამისა, ხელისუფლებასთან ბრძოლაში „ოპოზიციურმა რვიანმაც“ მარცხი განიცადა. მათ მარცხს ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ, რადგან შიდა დაპირისპირება და აზრთა სხვადასხვაობა იყო. პრაქტიკულად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიცია, ყველა ფლანგზე დამარცხდა ხელისუფლებასთან ბრძოლაში. შეჯამების კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალბათ ერთადერთი, ვინც ხელისუფლებას ბრძოლა მოუგო, ჟურნალისტური კორპუსი იყო.



**— ექსპერტთა შეფასებით, ხელისუფლება სიძლიერეს, ერთიანობის ხარჯზე ინარჩუნებს. ოპოზიციურ სპექტრსაც ჰქონდა იმის მაგალითები, თუ როგორ შეიძლება მიიყვანო ბრძოლა გამარჯვებამდე ერთიანობით. ამის მიუხედავად ოპოზიციური სპექტრი ვერ ახერხებს ერთიანობას, რა არის ამის მიზეზი?**

— ხელისუფლებამ იცის, რომ ერთიანობის ხარჯზე იქნება ძლიერი და წინააღმდეგ შემთხვევაში დაიშლება. ეს ძალიან კარგად იციან და ამის გამო ერთ, ძლიერ გუნდს ინარჩუნებენ. ასეთი პრაგმატულობა რომ ჰქონდეს ოპოზიციას, არ იქნებოდა მისთვის ცუდი. ოპოზიციონერ ლიდერებს, საზოგადოებაში რეიტინგის შენარჩუნება უნდათ, ოღონდ ცალ-ცალკე. ამიტომ ერთიანი ოპოზიციის მაღალი რეიტინგი, მათთვის, როგორც ცალკეული პოლიტიკური სუბიექტებისთვის, არ არის მომგებიანი.

**— ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა გეგმა, რომელიც ჩაუშალა ლევან გაჩეჩილაძემ.**

— თუ არსებობდა გეგმა, რომელიც ჩაშალა ვინმემ, ესე იგი იმ გეგმას აზრი აღარ აქვს და გამოიტანონ დღის სინათლეზე. მეორე საკითხია, რომ საქართველოში ჩამოსვლა იყო გეგმის მთავარი ნაწილი და ეს როგორ შეიძლება ჩაშალოს ვინმემ? საზღვარს ისე მაინც ვერავინ გადმოკვეთს, რომ შესაბამისი სტრუქტურებისთვის ცნობილი არ გახდეს. ამიტომ, ჩემთვის ცოტა არადამაჯერებელია ის, რომ ირაკლი ოქრუაშვილს რაიმე სერიოზული გეგმა ჰქონდა.

**— ოქრუაშვილი ნინო ბურჯანაძესთან არშემდგარ ალიანსსაც გაჩეჩილაძეს აბრალებს, შესაძლებელი იყო ორი პოლიტიკური ლიდერის ერთობა, რომ არა ლევან გაჩეჩილაძის მიერ გახმოვანებული ინფორმაცია, როგორც ამას თავად ოქრუაშვილი ამბობს?**

— ირაკლი ოქრუაშვილის ტექსტის კომენტირება მიჭირს, ვინაიდან მისი გაკეთებული განცხადებები ჩემთვის არადამაჯერებელია. მეორე მხრივ, შეიძლებოდა თუ არა გაერთიანებულიყვნენ, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო გაერთიანება. ეს ყველას შეუძლია, გააჩნია იდეას და გეგმას. გეგმა კი, როგორც ვნახეთ, არ არსებობდა არც ერთ რადიკალურ ოპოზიციურ პარტიაში.

**შორენა გოგოლაძე**

ვაი ჩვენს პატრონს!

# მიშამ „სასწაული ქვეყანა“ აგვიშენა!..

## მაგრამ ჩვენ რატომ ვერა ვხედავთ?

*„არ გესმის თუ არ გინდა გეიგო? რომ გამოდიხარ და მეუბნები, ვაშენებ ქვეყანასო, კი მაგრამ, მე ისეთი შტერი ვარ, ვერ დევინახე ეს აშენებული ქვეყანა? ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა?“*

*ოტია იოსელიანი*

ისე წავიდა ბატონი ოტია ამ ცოდვამადლით გაძეძგილი წუთისოფლიდან, დიდი მონდომებით ამათი (ნაცებზე მოგახსენებთძ აშენებული ქვეყნის მშვენიერებით ვერ დატკბა. რაღა დაგიმალოთ და მეც იმათ მარაქაში ვარ, ვინც თვალებზე ხელაფარებული დადის და თბილის-ბათუმის ქუჩებში ხვინჭა-ხვინჭად ჩაყრილ ცათამბჯენებს შუბლითაც რომ წაეტაკოს, მაინც ვერ ხედავს ან არ უნდა, რომ დაინახოს.

ასეთებზე მოუვა გული პრეზიდენტს, აბა არ მოუვა? ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ ორიოდე დღის წინათ, ბათუმში მორიგი ცათამბჯენის გახსნისას, სი-



დინჯით და სიდარბაისლით ყოველთვის გამორჩეულ თავკაცს, ჩემნაირი ბრმა-ყრუები და დაუნახავები, საერთოდ, ყველა, ვისაც მიშას ნაგები „სასწაული ქვეყანა“ არ ეპიტნავება, კაი გვარიანად შემოელანძღა. შემოელანძღათქო ვამბობ, თორემ სინამდვილეში ისე იყო გავეშებული მიხეილ ბატონი, რომ სიტყვა ველარ მოზომა და „ვაი შენს პატრონსო!“ – მიაწყევლა მეზობლის დედაკაციკით რომელიღაც ჟურნალში გამოქვეყნებული რომელიღაც სტატიის ავტორი.

პრეზიდენტის წყევლამ და შაყირმა (თავად მიშამ შაყირად მონათლაძ ჟურნალისტებს შოკი, ხოლო საააკაშვილის ზურგს უკან ამოფარებული გუნდის წევრებს სიამოვნება მოჰგვარა. ეს ვერ დამალა ვერონიკა მინისტრმაც, რომელიც პრეზიდენტის ენამახვილობამ ზომაზე მეტად გაახალისა(!ძ. თუმცა ყველამ ვერ გაითვალისწინა მდგრადი მინისტრის აზრი, რაც იმაში გამოიხატა, რომ პრეზიდენტის ამჩატება ზოგმა უზრდელობად მონათლა, ზოგმა – ჭორიკნობად, ზოგსაც შეებრალა – მიშა მიშაა, მაგრამ ამდენი უმადურობის შემყურემ ქვეყნის აღმშენებლობაზე გული რომ აიცრუოს და გადადგომა მოინდომოს, მერე სად გავრბივართო?! მე პირადად არა მგონია მიშა ოპონენტების ოპოპებს აჰყვეს (ოპოპები თავადაც მაგრად ასხია) და გადადგომა მოიწადინოს, მაგრამ ნაბეჭდ პრესას თუ ჩაუჯდა, რასაც ადრე სათოფეზეც არ ეკარებოდა, არ გაგიკვირდეთ ორ კვირაში ჟურნალ-გაზეთებიც „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ ჰანგზე აამღეროს.

სიტყვამ მოიტანა და ელექტრომედიის ერთხმიანობას იმიტომ წავწვდი, თორემ მიშასა და მისი გუნდის შეხმატკბილებულმა გალობამ საქართველო დედამიწის სუპერსახელმწიფოთა პირველ თანავარსკვლავედში რომ გაქაჩა, ამის დაუნახაობას ვინ მაპატიებს? აღარაფერს ვამბობ საპარლამენტო უმრავლესობის ვოკალურ შესაძლებლობებზე, რომლებიც მიშა-სოლისტის შემოძახილზე ისეთ „მრავალჟამიერს“ აგუგუნებენ, ფოლკლორულ ნაქებ ანსამბლსაც შეშურდება. არის შემთხვევები, როცა საერთოსახალხო წარმოდგენის პერსონაჟები იცვლებიან ლეგენდარული უცხოელი შემსრულებლებით (შაკირა, დომინგო, სტინგი და სხვ.ძ, რაშიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონები იყრება, მაგრამ ამას მიშას სარეიტინგო ქულებზე არავითარი გავლენა არა აქვს. პირიქით, როგორც ეკონომიკისა და პოლიტოლოგიის ცნობილი ექსპერტები ვარაუდობენ, თუ დედამიწა მოახლოებულმა კატასტროფამ არ შთანთქა, მსოფლიო ცივილიზაციის სამუზეუმო მღვიმეებში მიშას დამსახურება დინოზავრის ნატერფალივით დარჩება...

რატომაც არა, დასტურად ამისა პლანეტის ინტელექტუალური საზოგადოებრიობა უკეთესს რას მოიშველიებს, ვიდრე მიშას ხელით ნაგები სასწაულებრივი საქართველოა. თავად საქართველოში კი ზოგიერთ უმადურს (ჩემი ჩათვლითძ უკვირს ჩვენი პრეზიდენტი საკუთარ ნახელავს ხანდახან მოკრძალებით რომ შეაქებს ხოლმე. არადა კაცმა რომ თქვას, ქვეყნის თავკაცს, რომლის მართულმა სახელმწიფომ ეკონომიკური ტემპებით უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყანა, მათ შორის საქართველოს დაუძინებელი მტერი – რუსეთი, სულ რაღაც 5-7 წელიწადში იქცა მსოფლიოს უპირველეს რეფორმატორ და დემოკრატიულ ქვეყნად, სამოკრძალო რა უნდა სჭირდეს? ამ „სასწაულის“ შემოქმედს განა არა აქვს უფლება, ზოგჯერ მაინც წაიტრაბახოს, რომ თბილისი საცაა გაუსწრებს პარიზსა და რომს, ბათუმი – ნიცას, უშბა დაჯაბნის მომბლანს, ხოლო ანაკლია – ანტალიასა და ბოდრუმს...

რაც მართალია, მართალია – მიშას ხანდახან უყვარს ტრაბახი, მაგრამ საიდუმლოს გაცემა – არავითარ შემთხვევაში. რმდენიც უნდა ეცადოთ, მას კრინტსაც ვერ დააძვრევინებთ საკუთარ და მთავრობის ბოგოლა მოხელეთა, ასევე, პარლამენტართა მილიონებზე, კორუფციაზე, რომელიც ამ მზესავით გამჭვირვალე საქართველოში ისე იმალება, რომ მერაბიშვილის კარგად დაგეშილი „ავჩარკებიც“ კი ვერ პოულობენ. რას იზამ, ასეთია ჩვენებური დემოკრატია, ერთნი სიმდიდრეში იხრჩობიან, ხოლო მეორენი უუფლებობისა და სიღატაკისაგან ისე არიან დაჩმორებულ-გასაქონლებული და დაუძლურებული, რომ საააკაშვილის ნაშენებ სრა-სახლებს ველარც კი ამჩნევენ.

მიშა ამაზე ძალიან ბრაზდება და როგორც უკვე მოვისმინეთ, იწყევლება კიდეც – ვაი შენს პატრონსო! ეს ამბავი ტელეჟურნალისტ შალვა რამიშვილს, საკუთარ თავს ინტრიგანს რომ უწოდებს, თურმე აგონებს ქვიშაში მოთამაშე ბავშვს, რომელიც ხუხულებს აშენებს და რომ დაუნგრევენ, ბრაზდება. მიშა ადვილად გოიმდებაო, იცინის.

მე პირადად ამაზე სულაც არ მეცინება. მიშას ისიც ეყოფა სატანჯად, ნაშენებ ქვეყანას რომ უწუნებენ, ამას ახლა კიდევ გოიმობაც არ მიემატოს... მას შეიძლება სულ უზრდელი და გაუთლელი ეძახო (ახია მაგაზეძ, მაგრამ გოიმი – არავითარ შემთხვევაში!

**ოთარ ხუციშვილი**

ტრანსპორტი

# თუმცა ძვირია მგზავრობა, იაფად არ იქნებაო!



## როდის იტყუებოდა მერია, მაშინ თუ ახლა?

***მას შემდეგ, რაც საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა ლამის ერთიანად მოიშალა, ტრამვაის, ტროლეიბუსის და საქალაქო თუ საქალაქთაშორისო ავტობუსების ფუნქცია სამარშრუტო ტაქსებმა იტვირთეს. ისევე, როგორც ბევრ საკმაოდ დაულაგებელ და ერთობ არეულ-დარეულ სფეროში, აქაც მრავლად გამოჩნდა შემთხვევითი ხალხი, ვისაც საკუთარი ჯიბის გასქელების გარდა არც მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანა და მათთვის თუნდაც მინიმალური კომფორტის შექმნა აინტერესებდა და არც ქალაქის კეთილდღეობა. მერე დრო გავიდა, ვითარება თანდათანობით თითქოს რაღაც კალაპოტში ჩადგა, მაგრამ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრთა საქალაქო თუ საქალაქთაშორისო გადაზიდვების სფერო დალაგებას რომ საჭიროებდა, ეს ამბავი არავითარ ეჭვს არ იწვევდა. ამას ბიზნესის საგადასახადო მხარეც მოითხოვდა, სამგზავრო გადაზიდვების უსაფრთხოება და კომფორტიც, შრომის პირობებისა და უფლება-ვალდებულებათა კანონიერ ჩარჩოებში მოქცევაც. ნურც ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება გამოგვრჩება მხედველობიდან, პატივცემულო მკითხველო, რომ სამარშრუტო ტაქსებით სამგზავრო გადაზიდვათა სფერო მეტად მსუყე ლუკმაა საიმისოდ, რომ იგი მთლიანად „ვიღაც-ვიღაცეებს“ დარჩენოდათ...***

ჰოდა, როგორც ყველამ კარგად ვიცით, შარშან თბილისის მერიამ, ამ სფეროში წესრიგის დამყარების მიზნით, დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსებით სამგზავრო გადაზიდვებზე ტენდერი გამოაცხადა, რომელშიც, ოთხმა ახლადგამომცხვარმა ფირმამ გაიმარჯვა, რომლებიც დღესდღეობით სფეროს ერთი სუბიექტის „თბილისის მიკროავტობუსის“ სახელით განაგებენ.

როცა ნებისმიერ ბაზარზე მონოპოლისტი ჩნდება, ფასსაც ის ადგენს და ამ ფასს ყოველთვის „მონოპოლიური სურნელი“ ასდის. როცა წლეულს ზამთარში თბილისის მერიამ სამარშრუტო ტაქსების ბიზნესის ტენდერში გამარჯვებულები დაასახელა, მაშინვე ერთი ვნებათაღელვა ატყდა იმის თაობაზე, რომ სამგზავრო გადაზიდვების ფასი 70-80 თეთრამდე მოიმატებდა. მასმედიაში ამასთან ატეხილ ერთ ამბავს მოსახლეობის დიდი უკმაყოფილებაც მოყვა, თბილისის მერიისა და საკრებულოს არაერთი მაღალჩინოსნის (მაგალითისთვის საკმარისია ვახსენოთ მერიის ტრანსპორტის განყოფილების უფროსი ჯოხაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ახვლედიანი, სხვებიძ გამოსვლა მოჰყვა, რომლებიც მეხუთე კლასელი ოროსნებივით ლამის დედას იფიცებოდნენ ტელეკამერების წინ – დედაქალაქში სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა არაფრის დიდებით არ გაძვირდება, ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალშიო...

და აი, შუა ივლისში „თბილისის მიკროავტობუსებმა“ პირველი „ფორდის“ მარკის ყვითელი მიკროავტობუსები №4 მარშრუტზე შემოიყვანა და მაშინვე მგზავრობის ახალი ფასი, 80 თეთრი დააწესა, თანაც მწარე ამბის „ტკბილი“ შეფუთვით მოწოდება სცადა, აქაოდა გაჭირვებულ ხალხს შეღავათები ექნებაო, რაც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა...

ამას, ცხადია, მოსახლეობის აღშფოთება მოჰყვა, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც №4 მარშრუტის დარად მგზავრობის საფასური სხვა მარშრუტების მძღოლებმაც გააძვირეს. მოსახლეობის აღშფოთებას ჯერ სამარშრუტო ტაქსების მძღოლების განცხადებები მოყვა – ჩვენთან მერიის წარმომადგენლებად რომ ასაღებენ თავს, ისეთი „უფორმო“ ხალხი მოდის და მგზავრობის საფასურის გაზრდას გვაიძულებსო... მერე იყო მერიის წარმომადგენელთა განცხადებები, რომლებიც შექმნილ ვითარებას სრულიად გაემიჯნენ – ტარიფების დადგენა ტენდერში გამარჯვებული კერძო კომპანიის საქმეა, ჩვენ ამასთან არანაირი შეხება არა გვაქვსო. სწორედ ამაზეა ნათქვამი – ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს: თქვე დალოცვილებო, **თუ მგზავრობის ფასის მომატებასთან მერიას საქმე არა აქვს, მაშ რამდენიმე ხნის წინათ როგორ გვარწმუნებდით, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობა არ გაძვირდებაო?** გამოდის, რომ ან მაშინ იტყუებოდით, ან ახლა...

მოკლედ, შექმნილ ვითარებაში უკეთ გასარკვევად ისევ პროფესიონალს, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარეს **ლავრენტი ალანიას** მივაკითხე.

– ის, რომ დედაქალაქში, ასევე საქალაქთაშორისო სამარშრუტო ტაქსებით სამგზავრო გადაზიდვა გაძვირდებოდა, პირველად ჯერ შარშან შემოდგომაზე განვაცხადე, წლეულს ზამთარშიც გავიმეორე, – საუბრის დასაწყისშივე მითხრა ბატონმა ლავრენტი ალანიამ. – თანაც, განა ბევრმა თბილისელმა იცის, რომ აგერ უკვე თითქმის ოთხი თვეა, რუსთავში შიდა საქალაქო გადაზიდვა სამარშრუტო ტაქსით 30-დან 50 თეთრამდე გაიზარდა? თბილისი-რუსთავის მარშრუტით გადაადგილების, ასევე მრავალი სხვა მიმართულებით საქალაქთაშორისო სამარშრუტო ტაქსებით მიმოსვლის ფასმაც რომ მოიმატა? მეკითხებით რატომ? იმიტომ, რომ **სამგზავრო თუ სატვირთო გადაზიდვა თვითღირებულებაზე იაფად ვერ განხორციელდება. ერთიანად მდგომარეობაც ვერ დალაგდება მანამ, სანამ დარგში საერთო წესრიგი არ დამყარდება.** თავად განსაჯეთ: რა ხანია საწვავის, სათადარიგო ნაწილების, ტექნიკური მომსახურების ფასმა მოიმატა, სამარშრუტო ტაქსით მგზავრობის საფასური კი იმავე დონეზე დარჩა გრძელ მარშრუტებზეც, მოკლეებზეც.

ლავრენტი ალანიას თქმით, არის კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება. კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ ფასები ჯერჯერობით თავის შემოყვანილ მიკროავტობუსებზე მგზავრობისთვის, მხოლოდ ერთ, №4 მარშრუტზე გაზარდა. რაც შეეხება დანარჩენ მარშრუტებს, იქ ფასები, როგორც აღვნიშნეთ, მძღოლებმა – გარკვეული ზეწოლის შედეგად თუ უიმისოდ – თავისით გაზარდეს, ამდენად ვითარება მხოლოდ მაშინ დაექვემდებარება კონტროლს, როცა „თბილისის მიკროავტობუსი“ თბილისის სამარშრუტო ტაქსების მთელ ავტოპარკს განაახლებს, ან გააკონტროლებს.

სადღეისოდ დედაქალაქში დაახლოებით 190 მარშრუტზე სამი ათასზე მეტი მიკროავტობუსი მოძრაობს, რომელთაგან ზოგი თავად მძღოლის საკუთრებაა, ზოგიც ე. წ. „ხაზის მფლობელების“. ამდენად ყველა კონკრეტულ ხაზზე მგზავრობის ფულს მისი მეპატრონე ადგენს და რამდენადაც ულირს, ხალხიც იმდენად გადაყავს, რადგან თავის მანქანებს თავადვე ინახავს.

იხ. 4 გვ.

აქტუალური ინტერვიუ

# ვინც წარსულს ქვას ესვრის, მომავლისგან ლოდს უნდა ელოდეს

## რას გვიქადის და რას მოგვიტანს ხალხთან მოუთათბირებლად, ნაჩქარევად მიღებული კანონი?



**საქართველოს პარლამენტის მიერ ამას წინათ მიღებულ „თავისუფლების ქარტიას“ არასამთავრობო გაერთიანება „საზოგადოებრივ ექსპერტთა კავშირის“ თავმჯდომარემ თამაზ ცინცაძემ პრესკონფერენცია მიუძღვნა და ამ კანონის მიმართ, როგორც ყოფილმა კომკავშირულმა და პარტიულმა ფუნქციონერმა, პროტესტი გამოხატა.**

— ჩვენ სწორად გვესმის ამ კანონის ძირითადი მიზანი, რომელიც შესავალშივეა ახსნილი — **„საერთაშორისო სტანდარტების პრინციპებისა და ნორმების გათვალისწინებით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით კანონმდებლობაში განსაზღვრული ნორმების ეფექტური ამოქმედება და ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება, პრევენციული ღონისძიებების განმტკიცება საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიის გაღვივების წინააღმდეგ, აგრეთვე საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკის და საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ქუჩების, სოფლებისა და დაბების „სახელწოდებების“ ასევე საბჭოთა და ფაშისტური იდეოლოგიისა და პროპაგანდის სხვა საშუალებების აღკვეთა“.**

ყველაფრისდა მიუხედავად, არავის არ აქვს უფლება, არ აღიაროს ისტორიული რეალობა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან ერთად ცივილიზებული სამყარო, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი იბრძოდნენ. მათი თანადგომით გახდა შესაძლებელი მსოფლიო შავი ჭირისგან, ფაშიზმისგან ეხსნათ. როცა დღეს ამ ისტორიულ ფაქტს შეგნებულად გვერდს ვუვლით და საბჭოთა იდეოლოგიას და ფაშიზმს ერთ კონტექსტში განვიხილავთ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური უზნეობაა.

ჩვენი აზრით, კანონში უნდა გამიჯნულიყო საბჭოთა მსოფლმხედველობა ფაშიზმის იდეოლოგიისაგან. გასათვალისწინებელია, ისიც რომ ყოველგვარი ფაშისტური მოძრაობა მსოფლიო საზოგადოების მიერ დაგმობილი და კანონით აკრძალულია. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიებს, ბევრ ქვეყანაში იგი მმართველი ძალაა. კანონის ავტორმა არც ის გაითვალისწინა, რომ კომუნისტებმა თავის დროზე ეროვნულ ძალებს ყველა პირობა შეუქმნეს იმისთვის, რომ არჩევნები მათთვის სასურველ პირობებში ჩატარებულიყო და ხელისუფლება მშვიდად გადააბარეს. არც ის უნდა დარჩენილიყო უყურადღებოდ, რომ საქართველოში საბჭოთა მილიცია 1989 წლის აპრილის მოვლენების დროს ხალხის გვერდით დადგა, რითაც მოსკოვის იდეოლოგიას დაუპირისპირდა.

რაც შეეხება კანონით საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვას, იგი ყოველგვარ ზღვარს სცილდება. კანონის ავტორმა არ გაითვალისწინა, რომ იგი ისტორიას ასახავს. არა მგონია წარსულთან ბრძოლა რაიმე სიკეთის მომტანი იყოს, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის მშენებლობას ემსახურებოდეს.

**— ბატონო თამაზ, ახლა ყველაფერ ამაზე საუბარს რა აზრი აქვს, კანონი ძალაშია შესული და აღარაფერი შეიცვლება. ეს ხომ წყლის ნაყვას ჰგავს?**

— რადგან კანონის პროექტი სახალხოდ არ განხილულა, მასში ცვლილების შეტანა არასდროს არ იქნება გვიანი, მით უმეტეს, რომ ამასთან დაკავშირებით არც საპარლამენტო ფრაქციებში იყო ერთიანი აზრი.

კანონის ავტორთა ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ ქარტია არანაირ ვალდებულებასა და შეზღუდვას არ აწესებს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც 1991 წელს კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდებაში მიიღეს მონაწილეობა.

ჩემი აზრით, არ შეიძლებოდა ყურადღების მიღმა დარჩენილიყო თავის დროზე მხედრიონელთა თავგასული მოქმედებები, რასაც სამხრეთ ოსეთის შემდეგ აფხაზეთის დაკარგვაც მოჰყვა. მათი თარეში არც სამეგრელოს აცილებია, რომ არა მხედრიონელთა და გვარდიელთა წინასწარი გეგმის გაშიფრვა, მსგავსი რამ შეიძლებოდა აჭარაშიც დატრიალებულიყო... ამ კატეგორიის ხალხის პასუხისმგებლობაზე კანონში ერთი სიტყვითაც კი არ არის მინიშნებული. მინდა ვკითხო ამ კანონის ავტორებს, ნუთუ ყოველივე ეს კომკავშირში მუშაობაზე უფრო მეტი დანაშაული არაა?

**— ასე რომ, გავყვეთ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე იმდენი უკანონობა მოხდა საქართველოში, მათი დათვლაც კი გაჭირდებოდა, მით უმეტეს, სამართლებრივი შეფასება შეუძლებელია.**

— თუ ხელისუფლების ნება იქნება ყველაფერს შეიძლება მისი სახელი დაერქვას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის სურვილს ვერ ვხედავ. ნონსენსია კანონში გათვალიწინებული შეზღუდვები ყოფილ პარტიულ და კომკავშირულ მუშაკებზე, რომლებიც დღესაც სამაგალითო ავტორიტეტით სარგებლობენ.

იქნებ მითხრან ამ ქარტიის ავტორებმა თავად ისინი თუ არიან კომუნისტური პარტიისა თუ კომკავშირის ბევრი ყოფილი წევრის დარი პატრიოტები?

**— კომუნისტური პარტიის წევრებმა ჟიული შარტავამ, ირაკლი აბაშიძემ, ნოდარ დუმბაძემ, აკაკი ბაქრაძემ და ბევრმა სხვამ, ნათელი კვალი დატოვეს საქართველოს პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში, იმის გამო, რომ ისინი პარტიულები და კომკავშირელები იყვნენ, ხომ არ უნდა ჩამოვწეროთ ჩვენი ისტორიიდან?! კომკავშირული მუშაკი იყო ჟიული შარტავა, მაგრამ რით არის მასზე უკეთესი ბატონი გია თორთლაძე.?!**

— ამ კანონით, რომ მიუდგეთ საქართველოს ეროვნული გმირის ბატონი ჟიული შარტავას ბიოგრაფიას, მაშინ ჩვენ თავად აღმოვჩნდებოდით სერიოზული დილემის წინაშე. დღეს არავინ კითხულობს თუ ვინ იყვნენ ისინი, ვინც ზუგდიდსა და სოხუმში მიმავალი საჯარისო ნაწილები არ გაატარეს, რასაც შედეგად სოხუმის დაცემა მოჰყვა. არც იმით ინტერესდებიან, რა კატეგორიის ადამიანები იყვნენ ისინი, ვინც სოხუმიდან დევნილი ათეულ ათასობით ლტოლვილი ზუგდიდში არ გამოატარა და ჭუბერისაკენ გაუშვა, რასაც მოხუცებისა და ბავშვების მსხვერპლი და ათასგვარი უბედურება მოჰყვა. არა მგონია ამ ქმედებათა ორგანიზატორები პარტიული და კომკავშირული მუშაკები ყოფილიყვნენ.

კანონის ავტორის, ბატონი გია თორთლაძის აზრით, საზოგადოებრივ პოლიტიკურ არეალზე ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, ვინც კომკავშირულ ცხოვრებაში მონაწილეობდა და მათ არ უნდა მიეცეთ მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა. არა მგონია, ეს პოზიცია ქვეყანას წაადგეს. ცოტაც და, ამ კანონის ავტორები მათ ფიზიკურ განადგურებასაც მოითხოვენ.

**— კომისიის საქმიანობა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნება და მასში საპარლამენტო ფრაქციების თითო წევრი იქნება წარმოდგენილი, ვფიქრობ, არ იქნება გამჭვირვალე, ეს კომისია არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიულ ორგანოდ, სადაც ყველა საკითხი ობიექტურად შეფასდება. ყველამ შესანიშნავად იცის, თუ რა მეთოდებით მუშაობს ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტრო.**

— ბევრ ექსპერტს და პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ეს კანონი არის სერიოზული საფრთხის შემცველი და შეიძლება გახდეს პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების მექანიზმი. სამაგიეროდ ფიქრობენ, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების ბიოგრაფიიდან სამუდამოდ ამოიშლება ის არასასურველი მომენტები, რომელსაც დღეს საგულდაგულოდ მალავენ, რომლის ერთ ნაწილზეც ზემოთ ვისაუბრე.

იხ. 6 გვ.

ტრანსპორტი

# თუმცა ძვირია მგზავრობა, იაფად არ იქნებაო!

(მესამე გვერდიდან)

სიტყვას მოჰყვა და იმ ხალხის ბედითაც დავინტერესდი, „ხაზების მეპატრონეებად“ რომ იცნობს საზოგადოება. ეს ხომ ის ადამიანებია, რომლებმაც მგზავრთა გადაყვანას ხელი მაშინ მოჰკიდეს, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი — ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი ლამის სრულ სტაგნაციაში იყო? ახლა კი ამ არამატერიალური ფასეულობის მეპატრონეებს, რომელსაც „სამარშრუტო ტაქსის ხაზი“ ეწოდება, მერიაც და მის ტენდერში გამარჯვებული კომპანია ქუჩაში ყრის, ყოველგვარი ბოდიშის მოხდისა და რაიმე კომპენსაციის გარეშე. ამ ხალხის საქმე როგორღა იქნება-მეთქი, ვკითხე პროფკავშირის ლიდერს.



— რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბევრი მათგანი ფიქრობს: აი, ფასს მოვუმატებ, რამდენ ხანსაც მამუშავებენ, ვიმუშავებ, მერე რაც იქნება, იქნებაო. თორემ ყველა სამარშრუტო ხაზის მფლობელმა მგზავრობა ერთიანად რომ გააძვიროს, თბილისი „უმარშუტკებოდ“ დარჩება, მერწმუნეთ. თავად ხაზების მეპატრონეებს ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ ვუთხარი, შექმენით თქვენი პროფესიული, ვთქვათ, დამსაქმებელთა ორგანიზაცია და ქალაქის ხელისუფლებასთან მოლაპარაკება დაიწყეთ-მეთქი, მაგრამ ყური არავინ მათხოვა, რადგან იმის იმედი ჰქონდათ, რომ შინ მოურიდებლად არავინ გაუშვებდა. მერე, როცა მერიამ სამგზავრო გადაზიდვებზე ტენდერი გამოაცხადა, ზოგი სულაც განზე გადგა, ზოგმა გათითოკაცებულად დაიწყო ფაფხური და წააგო... პროფკავშირის მოვალეობა კი ისაა, რომ კომპანია „თბილისის მიკროავტობუსს“ დღესდღეობით რეალურად მომუშავე ხალხის დასაქმება მოსთხოვოს, ხოლო ტენდერში ვინ და როგორ იგებს, ეს უკვე მერიის საქმეა.

ისე კი, მინდა გითხრათ, რომ საბოლოო ანგარიშით ყველაფერი გაისად, 15 იანვრისთვის დალაგდება, რადგან სწორედ ამ დრომდე აქვს კომპანია „თბილისის მიკროავტობუსს“ ამ სფეროში ყველაფრის მოწესრიგების ვადა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

**P. S. წერილი** დასასტამბად მზად იყო, როცა შევიტყვე, რომ 25 ივლისიდან, თბილისში არსებული ყველა სამარშრუტო ხაზის მმართველობა თბილისის მერიის მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელში გადავიდა. ამასთან დაკავშირებით გავრცელდა ცნობა, რომ „თბილისის მიკროავტობუსის“ უკან ბიზნესმენი მერაბ შარანგია დგას...

ო. ტ.

**P. P. S. სამარშრუტო** მიკროავტობუსებით სამგზავრო გადაზიდვების საფასურის 80 თეთრამდე გაზრდასთან დაკავშირებით ვნებათაღელვა არ ცხრება. 25 ივლისს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ დედაქალაქის მერიასთან გამაფრთხილებელი აქცია გამართა.

აქციის შედეგი ისაა, რომ ორგანიზატორების მიერ მოთხოვნილი გიგი უგულავასთან შეხვედრის მაგიერ ისინი მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს ა. ჯოხაძეს შეხვდნენ, რომელიც დაპირდა, რომ ყველა სამარშრუტო ხაზის მფლობელს შეხვდებოდა და რომ ტარიფი ძველ, გაძვირებამდე არსებულ დონეზე ჩამოწევის რეკომენდაციას მისცემდა, ხოლო ახალ, ყვითელ მიკროავტობუსებზე პირველი მგზავრობა 80 თეთრი ეღირება, მეორე და ყველა შემდგომი — 65 თეთრი, სოციალურად დაუცველთათვის კი საფასური 40 თეთრი იქნება.

გაკვირვებას რამდენიმე გარემოება იწვევს. უპირველესი ისაა, რომ, ჯერ ერთი, ისევ მერიის წარმომადგენელთა და საკრებულოს ზოგიერთ წევრთა განცხადებით, „მერია კერძო კომპანიის ტარიფების დადგენის საქმეში ვერ ჩაერევა, რადგან კანონით ამის გაკეთების უფლება არა აქვს“. მაშ, რა „რეკომენდაციების“ მიცემაზეა ლაპარაკი? მეორეც ის, რომ გავრცელებული ინფორმაციით, 25 ივნისიდან სამარშრუტო ხაზების მეპატრონეებს ისინი კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ ჩამოართვა. მესამეც ის, რომ სამარშრუტო მიკროავტობუსებით მგზავრობა, მისი „სიყვითლის კოეფიციენტის“ მიუხედავად, გუშინ 80 თეთრი ღირდა...

ო. ტ.

არჩევნების წინ

# აკი მინიმუმ 200 მილიონი დოლარი დაჯდებაო?

## ამომრჩეველთა ბიომეტრიული სიების საკითხი ისევ გააქტიურდა



**საარჩევნო სიების ბიომეტრიული მონაცემებით შედგენისთვის მაქსიმუმ 8 მილიონი დოლარი ყოფილა საკმარისი. არადა, ხელისუფლებამ ამაზე უარი იმ არგუმენტით თქვა, რომ ძვირი ჯდებოდა. შეგახსენებთ, რომ ხელისუფლების გათვლებით, ეს 200 მილიონამდე უნდა დამჯდარიყო და ამის პარალელურად დასახელდა ტექნიკური პრობლემაც, რომელიც მაშინვე სათუო მიზეზი იყო.**

**ერთი თვის წინათ, როდესაც საარჩევნო შეთანხმება გაფორმდა, სწორედ ეს იყო ხელისუფლების არგუმენტი, რომ „რვიანისთვის“ უარი ეთქვა. შეთანხმებაზე ხელმომწერი პარტიების არგუმენტი კი ის იყო, რომ ხელისუფლება ვერ დაითანხმეს და მათ მეტი გზა არ ჰქონდათ.**

მაგრამ, როგორც ჩანს, ამის გაკეთება გაცილებით იაფად არის შესაძლებელი, რაც ხელისუფლების არგუმენტებს უსაფუძვლოს ხდის. „ექვსიანის“ მოწვევით საქართველოში იმყოფებოდნენ ერთ-ერთი ევროპული კომპანიის წარმომადგენლები, რომლებიც ამომრჩეველთა სიების ბიომეტრიული მონაცემებით შედგენაზე მუშაობენ და ამ მხრივ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ.

საუბარია ნიდერლანდებში რეგისტრირებული ორგანიზაცია „სმარტმაგიკ“-ზე.

როგორც „ექვსიანის“ წარმომადგენელი ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, ამ ორგანიზაციას იმიტომ დაუკავშირდნენ, რომ აქვს არჩევნების არა მხოლოდ მოქალაქეთა აღრიცხვის ბიომეტრიის გამოყენებით, არამედ თავად ელექტრონული წესით ჩატარების საკმაოდ დიდი გამოცდილება და ჩატარებული აქვს კიდეც ბევრ ქვეყანაში. თავის დროზე ამ ორგანიზაციას კონკურსის საფუძველზე მისცა არჩევნების ჩატარების დაკვეთა გაეროს განვითარების პროგრამამ. მან არჩევნები ჩაატარა ბევრ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ის ერთ-ერთ შტატში, აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში, აზიის ქვეყნებში, ამჟამად მუშაობს ეგვიპტესთან.

**„ჩვენ მათ დავუკავშირდით და ჩამოვიდნენ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი და ერთ-ერთი მიმართულების დირექტორი. გვქონდა მათთან შეხვედრა და გააკეთეს თავისი პროექტების პრეზენტაცია. ეს არის ძალიან სოლიდური ორგანიზაცია და მათ წარმოადგინეს ტექნოლოგიები არა მხოლოდ ქაღალდზე, არამედ ჩამოტანილი ჰქონდათ აპარატურა, რომელიც სჭირდება როგორც აღრიცხვას, ასევე შემდგომ კენჭისყრის პროცედურებს, დაახლოებითი შეფასებაც იმისა, თუ რა შეიძლება დაჯდეს ამის გაკეთება,“** — აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

როგორც იგი აღნიშნავს, საარჩევნო მიზნებისთვის სრულიად საკმარისია მხოლოდ ბიომეტრიული აღრიცხვის ჩატარება, მონაცემთა ბაზების გაკეთება, ამომრჩეველთა სიების დადგენა და შემდეგ არჩევნების დღეს ამომრჩევლის იდენტიფიცირება, ანუ ამომრჩევლის ვინაობის დადგენა ბიომეტრიული მონაცემებით. კერძოდ, თითების ანაბეჭდებითა და სახის ფოტოგრაფიული სურათის მეშვეობით.

ხმალაძის თქმით, ამ კომპანიის ხელმძღვანელობა პირობას იძლევა, რომ საქართველოში ამომრჩეველთა სიებს მაქსიმუმ ოთხ თვეში შეადგენს და ამას მაქსიმუმ 10 მილიონი დოლარი დასჭირდება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში გარკვეული ბაზა არსებობს, შესაძლებელია, რომ 7-8 მილიონ დოლარადაც კი გაკეთდეს. თუმცა, აქ არ იგულისხმება პირადობის მოწმობის დაბეჭდვა. მაგრამ შემდეგ ამ პირადობის მოწმობების გაცემისთვის, ცხადია, ეს ბაზა გამოდგება. მით უმეტეს, რომ ხელისუფლებამ ბიომეტრიულ პირადობის მოწმებებზე გადასვლა უკვე დაიწყო.

სულ ცოტა ხნის წინათ ხელისუფლებამ ისიც თქვა, რომ ამომრჩეველთა აღრიცხვა და ბიომეტრიული პირადობის მოწმობების გაცემა დაჯდებოდა 180 მილიონ ლარზე მეტი. ეს დაახლოებით 120 მილიონი დოლარია.

თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ბიომეტრიული პირადობის მოწმობა მაქსიმუმ 10 დოლარი დაჯდება, 3 მილიონი პირადობის მოწმობის დამზადებას და გაცემას, დაახლოებით, 30 მილიონი დოლარი დასჭირდება. ანუ, მთლიანად 40 მილიონი დოლარია საჭირო, რაც სამჯერ ნაკლებია 120 მილიონ დოლარზე.

რეალურად გამოდის, რომ ამ კომპანიის მეშვეობით, ხელისუფლებას სამჯერ ნაკლები უჯდება ბიომეტრიული პირადობის მოწმობების დამზადება და გაცემა. ამას უნდა დაემატოს საარჩევნო სიების მოწესრიგებით მიღებული სარგებელიც. საარჩევნო შეთანხმებაში სიების გადამოწმების საკითხიც გათვალისწინებულია.

თუმცა, ამისთვის რამდენი აქვს ხელისუფლებას გამოყოფილი, ჯერ ამ თემაზე საუბარი არ ყოფილა. შეთანხმების ტექსტში მხოლოდ წერია, რომ ეს უნდა იყოს ყველა სხვა სტრუქტურებისგან, მათ შორის ცესკოსგან, დამოუკიდებელი კომისია და დაფინანსდება ბიუჯეტიდან. ამასთან, ეს ყველაფერი კანონით უნდა განისაზღვროს, რაც უკვე დამოკიდებულია იმ სარედაქციო ჯგუფზე, რომელმაც შეთანხმების საკითხებზე სათანადო კანონპროექტები უნდა მოამზადოს.

მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლებას განზრახული აქვს ამომრჩეველთა სიების გადამოწმება კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით და ამისთვის თანხები უნდა გამოყოს. ამისთვის შარშან 1 მილიონ 200 ათასი ლარი გამოყვეს. როგორც ამბობენ, ახლა უფრო მეტ თანხაზეა საუბარი და ასეთი გადამოწმებები საჭირო იქნება ყველა არჩევნებზე.

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ოპოზიცია ამ საკითხის მოგვარებას ისევ აქტუალურად მიიჩნევს.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისუფლების პასუხია, რადგან გადაწყვეტილების მიმღები სწორედ ის არის. თუმცა, ხელისუფლებას ამ თემაზე ჯერჯერობით, საუბარი არ სურს. საარჩევნო შეთანხმებაზე ხელმომწერი ოპოზიცია კი ვარაუდობს, რომ ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის.

**„ის, რომ ბიომეტრიული პარამეტრებით სიების გაკეთება არის კარგი და რაღაც სხვა მეთოდებით გადამოწმებას სჯობს, ამაზე არავინ დავობს. ყოველ შემთხვევაში, „ახალი მემარჯვენეებისკენ“ ტყუილად ნურავინ გამოიხედავს, მაგრამ ერთია, რა არის ძალიან კარგი და მეორეა, რა არის შესაძლებელი.**

**რაც შეეხება უშუალოდ ამ კომპანიას, გეტყვით, რომ ბევრი კომპანიაა მსოფლიოში, მათ შორის ძალიან გამოცდილი და ძალიან ავტორიტეტული, რომლებსაც შეუძლიათ, ძალიან მოკლე ვადაში და მცირე ფინანსური დანახარჯებით მოახდინონ მოსახლეობის სრული აიდიზაცია ბიომეტრიული მონაცემებით. ამაზე ჩვენ ადრეც არაერთგზის გვქონდა საუბარი და ბევრი სპეციალისტი გვყავდა ჩამოყვანილი. ამიტომაც, ეს თემა ჩემთვის ახალი არ არის და დაინტერესებული საზოგადოებაც ინფორმირებულია, რომ ასეთი შესაძლებლობები არსებობს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ეს ვერ შეისმინა. ამიტომაც შეთანხმებაში ალტერნატიული ვარიანტი იქნა წარმოდგენილი, რომელიც სიების გადამოწმებას გულისხმობს.**

**თანხის ეს რაოდენობა არსებითად მცირეა. აქამდე მოწვეულ ექსპერტებთან და კომპანიებთან შეხვედრების დროს ასეთი თანხა არასდროს დასახელებულა. როგორც გახსოვთ, ბოლივიის ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე რომ იყო ჩამოსული, მან ერთი აიდის ფასი 9-10 დოლარი დაასახელა, რაც საქართველოს რეალობაში დაახლოებით 25-30 მილიონი დოლარის ფარგლებში გამოდიოდა. კარგია, თუ ასეთი შესაძლებლობა არსებობს. რაც შეეხება ვადებს, ამაში სიახლე არაფერი არ არის. თანხის თვალსაზრისით პროგრესი ნამდვილად არის. თუმცა, ხელისუფლებისთვის ეს თემა არ იქნა მიღებული“,** — აცხადებს „ახლების“ წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე.

„ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენელი ლევან ვეფხვაძე კი აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს იდეა ჩააგდოს და არც იმას გამორიცხავს, რომ ამაში საეკლესიო მრევლიც ჩართოს, რომლებიც ბიომეტრიული პირადობის მოწმობების წინააღმდეგნი გამოდიან.

**„ეს თემა, ბუნებრივია, დღის წესრიგში არის და იქნება. თუმცა, ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ხელისუფლება გეუბნება, რა თანხაც არ უნდა დაჯდეს, ამის გაკეთება არ უნდა. ჯერ ტექნიკური პრობლემა დასახელდა, ახლა თავადვე შეუწყობს ხელს იმ ტენდენციას, რაც მრევლის ნაწილში გამოჩნდა. ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში გაჩნდა შიში ბიომეტრიული პირადობის მოწმობების მიმართ და დარწმუნებული ვარ, თუკი აქტიურად გავაგრძელებთ ხელისუფლებასთან ამაზე ლაპარაკს, მრევლში ამ თემას გააააქტიურებს და ჩვენი საზოგადოებაც აჰყვება. ეს საფრთხე ხელისუფლების მხრიდან არსებობს.**

**ბიომეტრია ჩვენ გვჭირდება იმისთვის, რომ სია მოვაწესრიგოთ, მაგრამ სიაში არის სხვა პრობლემა და ეს არის იმ მოქალაქეების პრობლემა, რომლებიც საქართველოში არ ცხოვრობენ. ესენი საქართველოს მოქალაქეები არიან და მათ ვერც მოქალაქეობას ჩამოართმევთ და ვერც არჩევნებში მონაწილეობას ავუკრძალავთ“,** -აცხადებს ვეფხვაძე.

არის თუ არა შანსი, რომ ეს საკითხი საარჩევნო შეთანხმებაზე ხელმომწერთა ჯგუფში დაისვას, კაციტაძე აცხადებს, რომ მთავარი არა საკითხის დაყენება, არამედ მისი შესრულებაა.

**„შანსი როგორ არ არის. მე ვინ მიშლის ხელს, რომ ეს დავაყენო, მაგრამ რამდენად გამოვა აქედან რამე, ის უკვე სხვა საკითხია. საკითხი, რომელიც მხოლოდ დადგება და არ განხორციელდება, მხოლოდ სტატისტიკის ობიექტად რჩება და სხვა არაფერი. თუ ვინმესთვის ეს არის მთავარი, რომ ტესტი მოაწყოს, ვის შეუძლია დაყენება და დააყენებს თუ არა, ეს არასერიოზულად მიმაჩნია. მთავარი უნდა იყოს ის, რომ მივიღოთ შედეგი.**

**ჩვენი გადაწყვეტილება განპირობებული იყო სამი კონკრეტული პოზიციით. ეს იყო პოლიტიკური გამოცდილება, პოლიტიკური გემოვნება და პოლიტიკური არჩევანი, როდესაც შევუერთდით ამ შეთანხმებას. ამ ყველაფერში ერთად კი ნაგულისხმევი არის პოლიტიკური შედეგი. თუ შედეგზე არ ხარ ორიენტირებული და მხოლოდ რაღაც პოზიციის დეკლარირება გინდა, თუნდაც ძალიან, ძალიან კარგი პოზიციის და შემდეგ ეს პოზიცია რჩება თავისთვის და ქარავანი მიდის თავისთვის, ეს უბრალოდ არ არის პოლიტიკოსის საქმე.**

**პოლიტიკოსი შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული და მე ამ მოქმედებებს შედეგს გულწრფელად ვუსურვებ. მათ შორის ჩვენი ყოფილი პარტნიორების ბრძოლას და გულწრფელად გავიხარებ, თუ შედეგი დადგება მეტი. ცხადია, რომ ამ შედეგით ერთი პარტია არ ისარგებლებს და ამით ისარგებლებს ყველა, ისევე როგორც, იმ შეთანხმებით, რომელსაც ჩვენ ხელი მოვაწერეთ. ძალიან მაინტერესებს, ვინც ამ შეთანხმებას ხელი არ მოაწერა, ისარგებლებენ თუ არა იმით, რაც აქ არის გათვალისწინებული და, თუკი ისარგებლებენ, მერე რა არგუმენტები ექნებათ?“** — აცხადებს კაციტაძე.

**თეონა ხარაბაძე,**
Presage.tv

---

ოკუპირებული ტერიტორია

# შამბას ცრუ დაპირებები და აფხაზური ქონების ძარცვა რუსულად

**აფხაზი სეპარატისტების განცხადებები, საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო მეტად იძენს კომიკურ ელფერს. საკუთარი მოსახლეობის თვალში, რომელნიც უკვე დიდი ხანია მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათი „სახელმწიფოს“ „დამოუკიდებლობა“ რუსული იმპერიალიზმის პირობებში სრული ფიქციაა, „საპრეზიდენტო“ კანდიდატები ქულების დაწერას ლამის ანტირუსული განცხადებებით ცდილობენ. კრემლის მარიონეტული რეჟიმის ერთ-ერთი ლიდერი სერგეი შამბა ირწმუნება, რომ მისი არჩევის შემთხვევაში, აფხაზეთის ქონების გასხვისების, ანუ რუსეთისთვის გადაცემის საკითხი არც განიხილება.**

ცნობილია, რომ აფხაზური საზოგადოება ბოლო ხანს ამ მიმართულებით სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამს. რაც დრო გადის, კრემლის და, ზოგადად, რუსული იმპერიის მადა აფხაზეთთან მიმართებაში განუსაზღვრელად იზრდება. კრემლისთვის, რომელიც ალტრუიზმით ვერ დაიკვეხნის, საქართველოს ეს პატარა, უკონტროლო რეგიონი, უბრალოდ, „მეწველი ძროხაა“, რომლის ყველა რესურსსაც საკუთარ კუთვნილებად მიიჩნევს.

როგორც აღმოჩნდა, აფხაზებს (რომლებიც საკუთარი „უფროსი ძმებისგან“ ასეთ დამოკიდებულებას არ ელოდნენძ, ეს ტენდენცია ძალიან არ მოსწონთ, რაც პუტინ-მედვედევის ხელდასხმული სეპარატისტული მმართველი ელიტისადმი უკმაყოფილების დონის ნიშნულს მკვეთრად ზრდის. წინასაარჩევნო პერიოდში კი, საპრეზიდენტო კანდიდატები, საკუთარი განრისხებული მოსახლეობის თვალში რუსეთისგან დამოუკიდებლად მოქმედი, „პატრიოტი“ პოლიტიკური პერსონის როლის თამაშს თავგამოდებით ცდილობენ.

ამასობაში, სეპარატისტულ რეგიონში კრიმინოგენური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მოხშირდა დასასვენებლად ჩასულ რუს ტურისტებზე თავდასხმებიც, რომელიც წარსულში, ნაკლებად ხდებოდა. მოკლედ, აფხაზებმა რუსების რიდი დაკარგეს. სულ ახლახან კიდევ ერთი მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა. რუსი ტურისტებისთვის აფხაზეთი საშიში ზონა ხდება, სადაც დასვენების შემთხვევაში, ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდები თუ არა საკუთარ სახლში, უკვე აღარავინ იცის. ინტერნეტსივრცეში, სხვადასხვა რუსულ საიტებსა და ბლოგებზე, ამ თემაზე საუბარი აქტიურად მიდის. ტურისტები ერთმანეთს ამ უწესრიგო რეგიონში ჩასვლას აღარ ურჩევენ.

რაც შეეხება არჩევნებს, ამ დროისათვის, საპრეზიდენტო პოსტზე სამი კანდიდატია დარეგისტრირებული: ალექსანდრე ანქვაბი, სერგეი შამბა და რაულ ხაჯინბა. სამივე მათგანი კრემლის ყურმოჭრილ მარიონეტად მიიჩნევა. ასე რომ, პოპულისტური განცხადებების მიუხედავად, აფხაზეთის ქონების და ბუნებრივი რესურსების რუსული იმპერიისაგან ძარცვა, მოსახლეობის მწვავე რეაქციის მიუხედავად, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისთვის გარდაუვალი და შეუქცევადი პროცესია.

**ანა ბერიძე,**
Presa.ge

◉ აქტუალური ინტერვიუ

(მეოთხე გვერდიდან)

# ვინც წარსულს ქვას ესვრის, მომავლისგან ლოდს უნდა ელოდეს

თუ ხელისუფლებამ 26 მაისს მომხდარი ტრაგედიისა და მსხვერპლის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი სამთავრობო თუ საპარლამენტო კომისიის შექმნაზე უარი თქვა და ბევრ გაუგებრობას თავისი ნამდვილი სახელი არ დაერქვა, თუ ადამიანები მსხვერპლის გამომწვევ მიზეზებში არ გაარკვიეს, მაშინ აშკარა გახდება, ეს კანონი რას და ვის ინტერესებს ემსახურება. რა სარისკოც არ უნდა ყოფილიყო, გადავწყვიტეთ ამ ურთულეს თემას შევხებოდით. იმედს არ ვკარგავთ, რომ მასმედიის წარმომადგენლები, ვინც პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ, სწორად შეაფასებენ ყოველივეს.

იმედს არ ვკარგავთ, რომ მასმედიის წარმომადგენლები, და არა მარტო ისინი შეაფასებენ იმასაც, რომ 26 მაისს მომიტინგეთა დარბევის დროს უფლებათა გადაჭარბებისათვის დასჯილი პოლიციელების ვინაობა საჯარო არ გახადეს. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ პოლიტიკური პროცესების დამშვიდების შემდეგ ეს „გამორჩეული პოლიციელები“ კვლავ სპეცსამსახურის რიგებში აღმოჩნდებიან.

**— ამ პრესკონფერენციას მე ვერ დავესწარი, იქნებ ზოგ დელეგატზე ახლა გაამახვილოთ ყურადღება. მით უმეტეს, რომ ბათუმში ჩამოსულს ამასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მითქმა-მოთქმა დამხვდა.**

— პრესკონფერენციაზე დაისვა საკითხი, რომ ეს კომისია შეიქმნას არა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, არამედ საქართველოს პარლამენტში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურს რაც შეეხება, მან ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს ის საყურადღებო და ანგარიშგასაწევი, ხშირად დანაშაულის შემცველი ინფორმაციები, რომელიც ტელევიზიით და პრესის საშუალებით კეთდება. ამ ფაქტებზე წაყრუება არა თუ არასწორი, არამედ დანაშაულია. ამ ფაქტებზე წაყრუება ახალ კითხვებს წარმოშობს და ადამიანთა ფსიქიკას ანაგვიანებს. ხალხს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ბევრი პოტენციური დამნაშავე ხელშეუხებელ და ზოგჯერ პროვილეგირებულ მდგომარეობაში რჩება.

**— მოდით ფაქტებით ვილაპარაკოთ. პირადად მე ის ჟურნალისტი ვარ, რომელიც მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს ვერ ვეგუები. თუ სათქმელი გაქვთ, ფაქტებიც გადმოალაგეთ.**

— არც მე ვარ ის კაცი, მინიშნებებით ვილაპარაკო. ვინც მიცნობს კარგად იცის, რომ ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისთვის თავს არ დავზოგავ. ვერ დავემსგავსები იმ მედროვეებს სტომაქის მონები რომ არიან.

**თუ ხელისუფლება ამ კანონით მტერ-მოყვრის გარკვევას აპირებს, ცუდი არ იქნება, ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი, ექსპარლამენტარი ვალერი გელბახიანი დაავალდებულოს, საჯაროდ განაცხადოს, თუ რა საფუძველი ჰქონდა, როცა მან გაზეთ „ასავალ-დასავალში“ განაცხადა, რომ 2003 წელს, პარლამენტის არჩევნების დროს თბილისიდან ასლან აბაშიძესთან მაღალი რანგის მოხელეები ჩამოვიდნენ და შესთავაზეს, რომ აჭარას საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღო, რითაც მას შესაძლებლობა მიეცემოდა აჭარის დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. თუ ბატონი ვალერი ერისკაცია და არა ქვეყნის მტერი, რატომ არ ამხელს ვინ იყო ის, ვინც ქვეყანას ახალ უბედურებას უმზადებდა?! ვინ უბიძგებდა ამისკენ აბაშიძეს? ამ პიროვნებათა ვინაობის დამალვა მათ თანამოაზრეობას ნიშნავს, რომელიც გაურკვეველი და შეუფასებელი არ უნდა დარჩეს. მას კომკავშირლები რომ არ გააკეთებდნენ, ესეც**



**ცხადია, ან რატომ არ რეაგირებს ამაზე ხელისუფლება?**

ბატონმა თემურ შაშიაშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ კორესპონდენტთან 20 ივნისს მიცემულ ინტერვიუში დაუფარავად თქვა, რომ **„ის ნიღბიანები, რომლებიც 26 მაისს დარბევის დროს განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ, რურუას ზონდერები იყვნენ. ესენი იყვნენ ნიღაბებჩამოცმული, ხელკეტიანი პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხს პოლიტიკური ტექსტებით ელაპარაკებოდნენ, დიახ, ხალხს უყვიროდნენ, ხომ ნახეთ, ამერიკის ელჩმა რა განცხადება გააკეთა, ამერიკა ჩვენს მხარეზეა, თქვენ კი პუტინელები და რუსების აგენტები ხართო“.**

ამ სახელმწიფო მოხელისა და ხელისუფლებაში განსაკუთრებულად გავლენიანი ჩინოვნიკის მისამართით ადრე საჯარო განცხადება ირაკლი კაკაბაძემაც გააკეთა, რურუა გამორჩეულ მხედრიონელად, კაცისმკვლელად დაახასიათა. მერე რა, ვინ რა იკითხა და ვინ ვის რა მოჰკითხა. ამ ფონზე ჩემი და ჩემისთანა ყოფილი კომკავშირელი ფუნქციონერების საკანონმდებლო დონეზე მოკითხვა, ჩვენი კანონგარეშე გამოცხადება არანაირ ჩარჩოში არ თავსდება.

როცა ამ ფაქტებს და ბევრ სხვას ურეაგირებოდ ტოვებენ და ხანდაზმული ადამიანების ისტორიული წარსულის ქექვით არიან დაკავებული, ისმება კითხვა, რისი გაკეთება სურთ, რა საშუალებებით აპირებენ მტყუან-მართალის გარკვევას?

**— ბატონო თამაზ, ხელისუფლების გადაწყვეტილებათა გამო, თქვენ ახლაც ვერ ფარავთ უკმაყოფილებას. თქვენი ასაკის კაცი მშვიდ ცხოვრებას უნდა არჩევდეს, თქვენ კი პროტესტს ვერ ფარავთ და ამით, ალბათ, საკუთარ თავს დამატებით უხერხულობასაც უქმნით.**

— საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების, მათ შორის კანონშემოქმედთა ორმაგი სტანდარტი ფაქტია. მაშინ, როცა კომუნისტებისა და საბჭოთა ეპოქის მიმართ ასეთ ზიზღს ვერ ვფარავთ, რატომ დავუშვით ქალაქ თბილისში ერთ-ერთი გამორჩეული ქუჩისთვის ყოფილი ბოლშევიკისა და ცნობილი „ჩეკისტის“ ჰეიდარ ალიევის სახელის მინიჭება და იქვე დამშვენებულ სკვერში მისი ძეგლის დადგმა?! რა ქვია ამას, თუ არა თვითნებობა, და ორმაგი სტანდარტი — როცა უსიტყვოდ ამბობენ, რაც გვინდა და როგორც გვინდა, იმას გავაკეთებთო.

**— როგორ ფიქრობთ, როგორია ამ კანონის მიმართ საზოგადოებრივი რეაქცია?**

— ახლავე გაბედულად შემიძლია ვთქვა, რომ ამ კანონის მიმართ საზოგადოების რეაქცია უარყოფითია, რომელიც სამომავლოდ უფრო გაღრმავდება და ხელისუფლება იძულებული იქნება, ამ კანონს გადახედოს.

**უმთავრესი ის გახლავთ, რომ მოცემული კანონი ქვეყანაში დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას ვერ მოემსახურება. იგი საზოგადოების გამთლიანების პროცესს ხელს ვერ შეუწყობს. არაა გამორიცხული, საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის დაპირისპირების პროცესი კიდევ უფრო გამწვავდეს. ასე რომ, ეს კანონი საზოგადოების ინტერესებს ვერ გამოხატავს და კერძო პირთა ინტერესებისთვის დაიწერა.**

**— ისე კი ყველა კითხვაზე პასუხი ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებით იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ მისი მიღებით თვავად ხელისუფლება არაა დაინტერესებული, რადგან ადამიანთა სრული და ობიექტური ლუსტრაციის შემთხვევაში ძალიან ბევრი ისეთიც აღმოჩნდა, ვინც დღეს ხელისუფლებაშია.**

— ასეთი კანონების პროექტის წინასწარი განხილვის გარეშე და ისიც დაჩქარებული წესით მიღება, სასიკეთო შედეგებამდე არ მიგვიყვანს. უფრო მეტიც, იგი საზოგადოების არათუ გაერთიანებას, არამედ მის გათიშვას მოემსახურება, რომელიც ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია, უნდა ვურჩიოთ ახალგაზრდობას, ნუ იკადრებს ფაშიზმს თუნდაც შეფარულად თანაგრძნობას. არა მგონია, ეს ღირსეული საქციელი იყოს, პირიქით, იგი უფრო სახიფათო საქმეა.

ყველას უნდა გვახსოვდეს ხალხური მრავლისმთქმელი გამონათქვამი — „ვინც წარსულს ქვას ესვრის, მომავლისგან ლოდს უნდა ელოდეს“. ამიტომაც მეტი სიფრთხილეა საჭირო.

**ამირან კილურაძე,**
„სრ“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი.

◉ ბრიფინგი



# „მერიამ მიწისძვრით დაზარალებულებს საცხოვრებელი ბინები დაუკანონოს“

**თინათინ ხიდაშელმა დედაქალაქის საკრებულოში 2002 წლის მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების პრობლემაზე ბრიფინგი გამართა და ქალაქის მერიას რამდენიმე მოთხოვნით მიმართა: საკრებულოს კომისიის გადაწყვეტილება მიწისძვრით დაზარალებულთა შესახებ — „2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ — დაუყოვნებლივ შესრულდეს; დედაქალაქის მერიამ უზრუნველყოს ამ საკითხის დაუყოვნებლივი გატანა მთავრობის სხდომაზე; დაუყოვნებლივ გადაეცეთ ბინები ამ ადამიანებს საკუთრებაში.**

თინათინ ხიდაშელმა ბრიფინგზე განაცხადა: „**თუ ეს საკითხი აგვისტოს თვეში არ გადაწყდა, საკრებულოს აგვისტოს სხდომაზე დავაბრუნებ ჩემს ინიციატივას და საკრებულოს მოუწევს გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხზე, რომელიც თავის დროზე მიხეილ საკაშვილმა მიიღო. ჩემი პროექტი სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმ პროექტს, რომელიც სააკაშვილის საკრებულომ 2002 წელს დაამტკიცა.**

**იმედს ვიტოვებ, რომ აგვისტოში მთავრობის სხდომა ამ საკითხის გადაწყვეტას დაასრულებს და მოქალაქეები მიიღებენ დადასტურებულ მოწმობას საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის დასტურად.**

2010 წლის 3 აგვისტოს მივმართე ქალაქის ქონების მართვის სამმართველოს და მოვითხოვე, რომ დარჩენილ 50 ოჯახს ბინები დაკანონებოდა.

მიმართვის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ეს პროცესი სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა. იანვარში თბილისის საკრებულოს შევთავაზე გადაწყვეტილების პროექტი, თუმცა პრობლემა გადაუწყვეტელია.

2002 წლის, 25 აპრილის თბილისში მომხდარი მიწისძვრის მეორე დღეს, 26 აპრილს შეიკრიბა დედაქალაქის საკრებულო, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება დაზარალებული მოქალაქეების დაუყოვნებლივი დახმარების შესახებ.

2002 წლის მიწისძვრის შემდეგ, 9 წელი გავიდა, განხორციელდა ბევრი პროექტი, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მაგრამ დარჩენილია 50-მდე ოჯახი, რომლებიც ცხოვრობენ გარკვეულ ფართში, თუმცა ეს ფართი მათ ვერ დააკანონეს.

ამიტომ კიდევ ერთხელ მოვითხოვ, მერიამ მიწისძვრით დაზარალებულებს საცხოვრებელი ბინები დაუკანონოს“.

**ნათა ნიბლაძე**

◉ ინფორმაცია

## თურქეთმა აჭარა ქვეყნად მიიჩნია

**თურქეთში** მიმდინარე მსოფლიო კულტურათა დღეების აფიშაში, აჭარა ქვეყნების ჩამონათვალშია.

ამის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელში ვრცელდება. სოციალურ ქსელში განთავსდა კულტურული ღონისძიების აფიშის ფოტო. თურქეთში მიმდინარე მსოფლიო კულტურათა დღეებში მონაწილე ქვეყნების ჩამონათვალში აჭარა და საქართველო ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი. მსოფლიო კულტურათა დღეები თურქეთში, სტამბულში 12 ივლისიდან დაიწყო.

## გუდაურში მიწის ნაკვეთები თბილისში მტკიცდება

**გუდაურში** თვინებურად დაკავებული მიწების დაკანონებისთვის ადგილობრივებს თბილისისთვის მიმართვა მოუწევთ.

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულებაში პრეზიდენტმა შესაბამისი ცვლილება შეიტანა.

პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისთვის უფლებამოსილია თბილისის საკრებულოს შესაბამისი მუდმივმოქმედი კომისია.

მუდმივმოქმედი კომისიები თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ბაზაზე იქმნება ხოლმე.

ასეთი კომისიის შემადგენლობა მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილების ვადით და დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე.

ინტერპრესი

№ 139. ოთხშაბათი, 27 ივლისი, 2011 წელი.

სასიამოვნო მოულოდნელობა

# „კოკასა შიგან რაცა დგას...“

## ფიქრები ერთი კარგი პიესისა და სხვა რამეთა გამოც

*„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ...“*

*ირაკლი აბაშიძე.*

ლიტერატურული პერიოდიკა ისევ ველური ჟინით განაგრძობს უხამსობითა და ბილწსიტყვაობით სავსე თხზულებათა ბეჭდვას. ამ საქმეში ნაცად და ფრიად დაოსტატებულ ძველ ავტორებს ცხვირმოუხოცავებიც შეემატნენ: რას ვიზამთ, ძალზე მაცდუნებელი ყოფილა თავის გამოჩენისა და კალმოსანთა სივრცეში იოლად დამკვიდრების სურვილი! ის კი არა, დასავლეთში (ც) „ასე“ ყოფილა, იქ ფართო ავალა ჰქონია ყოველნაირ სიშიშვლეს და აბა, მოდას ხომ ვერ ჩამოვრჩებით **(ეს „ნოვატორთა“ არგუმენტია, ჩემი არ გეგონოთ)!** ამ დროს გვავიწყდება უძველესი ბრძნული შეგონება „ყველამ თავისი მკვდარი უნდა იტიროს...“ **„ჩვენი მკვდარი“ ის ტრადიციებია, საუკუნეთა მანძილზე დიდი რუდუნებით რომ იქმნებოდა, ახლა კი მავანნი ასე უსინდისოდ თელავენ და საქმე მართლაც სატირლად გაგვიხადეს...**

ამ საეჭვოდ ჩაჟამებულ ფონზე სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული სამიოდეგვერდიანი მინიპიესა „კაბა“, რომლის ავტორი ჩემთვის უცნობი თამარ ბართაია გახლავთ. ეს გამოხმაურება იმ საუბრის გაგრძელებაა, ფრიად საჭირბოროტო თემაზე შარშან რომ წამოვიწყე გაზეთების – „ქართული სიტყვის“, „შანსის“, „კვირის ქრონიკისა“ და „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე. პიესა ორიგინალურია არა მარტო ფორმით, არამედ თემის გახსნის ხერხებითაც: იგი დღიურების სახით გვიამბობს ფრანგული „წარმოშობის“ ერთი ჩვეულებრივი კაბის თავგადასავალს. პიესაში ვერც ტრადიციულ დიალოგებს შეხვდებით და ვერც მრავალრიცხოვან გმირებს – არის მხოლოდ კაბა, ჯინსი და ტატა. შიგადაშიგ გაიელვებს ბეთჰოვენის, დებიუსის, შოპენის, ფრანსუა რაბლეს სილუეტები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძალიან უყვარს კაბას...

კაბა თავდაპირველად მოსკოვში ჩამოაბრძანეს. ბევრი უტრიალებდა, მაგრამ აღტაცებით მაინცდამაინც არავინ აღტაცებულა. ზოგიერთი მუშტარი არც თვითონ ეხატებოდა გულზე და ტყავში ძვრებოდა, მის ხელში რომ არ მოხვედრილიყო. ბოლოს გამოჩნდა „სამხრეთელი მწვანეთვალება“ და კაბაც გამოფრინდა ქალაქში, სადაც „უფრო თბილა“ და სადაც, თურმე, „ამერიკელები უფრო მოსწონთ...“

ერთი სიტყვით, ძალიანაც „მოერგნენ“ ერთიმეორეს „ფრანგი“ კაბა და ქართველი ტატა. ტატა ჩვეულებრივი გოგონაა და ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს დედასთან ერთად. არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ხანდახან კაბას ჯინსი თუ შეენაცვლება, ეგ არის და ეგ. კაბაც ხალისით გვიყვება, რასაც ხედავს და განიცდის. მერე თანდათან რაღაც შეიცვალა და უფრო ჯინსმა მოუხშირა პიკნიკებზე სიარულს. დედა-შვილს შორისაც შავმა კატამ გაირბინა – ისინი წარამარა კამათობენ და ჩხუბობენ. ტატას მუცელი წამოეზარდა, მაგრამ ვინც მას ამაში „დაეხმარა“, არენაზე აღარ ჩანს. გოგონა ძალიან ნერვიულობს. მერე „სახლში თეთრხალათიანები დადიან, დედა სადღაც მიჰყავთ“.

მოსახდენი მოხდა – „გარდეროში შავი ტანსაცმლით გაივსო...“

აი ყველაფერი, რასაც ერთი მსახიობისთვის დღიურების სახით დაწერილი ეს პიესა მოგვითხრობს. თემა, როგორც ხედავთ, პიკანტურია და ავტორის ფანტაზიის გასაშლელად ფრიად მდიდარ მასალას იძლევა. მაგრამ მან იცის, **რა სურს** და **რისი უფლება** აქვს, რომ **არც გმირი შეურაცხყოს, არც თავისი თავი და არც მკითხველი თუ მაყურებელი:** ფრთხილად, მოზომილად არჩევს სიტყვებს, ძუნწად ხატავს და ძერწავს გარემოს, განწყობილებას. არც ერთი უხერხული და უკეთური გამოთქმა, თუმცა ტატა და კაბა ერთმანეთს დააცილეს და კაბა სავარძელზეა მიგდებული... **„მე არ ვიცი, ეს როგორ იწერება. არ ვიცი, იმიტომ, რომ... არ... ვიცი... ჯობია... ბევრი... წერტილი... დავსვა... წერტილი... წერტილი...წერტილი...“**

მესმის ავტორისა. და ისიც ვიცი, რომ ასე წერა უფრო ძნელია. მაგრამ მას სხვანაირად არ შეუძლია და სწორედ ამაშია თამარ ბართაიას, როგორც ავტორის გამარჯვება!

ახლა წარმოვიდგინოთ, მის ადგილზე როგორ გაშლიდა ფრთებს ზემოთ მოხსენიებული დღეს გაპაპაჯვრებული ზოგიერთი პერსონა! ვითომ მეტი ეფექტის მოსახდენად ისეთ დაუკრეფავებში გადავიდოდა, ისეთ ცეცხლს დაანთებდა და ქარბორბალას დაატრიალებდა, ყურო ნუ გაიგონებ! არადა, სასურველზე მეტი ეფექტი თამარ ბართაიამ ჩვეულებრივი სიტყვებითაც მშვენივრად მოახერხა!

რეჟისორ ჰილარი ვუდის მიერ ინგლისურად დადგმულ ამ პიესას დიდი წარმატება მოუხვეჭავს ლონდონსა და ედინბურგში, მერე თბილისის ფესტივალ „საჩუქრის“ მონაწილეებისთვისაც უჩვენებიათ (ხედავთ? „დასავლეთშიც“ მთლად „ისე“ არ ყოფილა საქმე, როგორც ჩვენი ბილწსიტყვაობის მოყვარული მწერლები ხატავენ! თურმე, იქაც შესანიშნავად სცოდნიათ ნაღდი ნაწარმოების ფასი!ძ.

**მივესალმები რა თამარ ბართაიას ამ ლიტერატურულ სიწმინდეს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები უკვდავი რუსთველის გენიალური შეგონების ჭეშმარიტებაში: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.**

ელგუჯა ლებანიძე

ხედვა შორიდან

# „დედა ნახე, მამა ნახე...“

**ამ ანდაზას მდაბიურ-ხალხური ვარიანტიც აქვს და, მგონი, სწორედ ისეთ დედა-შვილზეა (მამა რა შუაშია?!) ზედგამოჭრილი, რომლებიც აქ იგულისხმებიან, მაგრამ მათ არაფერი ესაქმებათ მდაბიო ხალხთან და ეს უწყინარი ვარიანტი დავტოვოთ, მით უმეტეს, რომ შინაარსი ერთია, თანაც ამით ენასა და სიტყვასაც, ბეჭდილ სიტყვას, პატივს ვცემთ.**

ანდაზა იმით არის უკვდავი, რომ დროს არ ემორჩილება. ერთადერთი, რაც დროს არ ემორჩილება, ეს ანდაზაა. დანარჩენი ყველაფერი დროის მსხვერპლია. ამიტომ დაუკავშირა ჰაიდეგერმა ყოფიერება დროს. დროით იზომება მეფობაც: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“; ზნეობაც: O tempora! O mores! „ვაჰ, დრონი! ვაჰ, ზნეობანი!“ (ციცერონიძ; და, თურმე, ღმერთიც: „მჯეროდეს? ამ მოხუც წმიდანს თავის ტყეში ღმერთის გარდაცვალება ჯერ არ სმენია!“ (ნიცშეძ.

მართლაცდა, რა შეიძლება უწოდო შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ვიღაცებისთვის წართმეული „ჯიპების“ მღვდელმთავრებისათვის ჩუქებას, ან სასჯელაღსრულების მინისტრი ქალის (!ძ მიერ (ბაჩოზე აღარ არის საუბარიძ იმაზე თვალის დახუჭვას, რომ მამათმავალი პერსონალი პატიმრებს აუპატიურებდეს (თუმცა რომ არ გააუპატიუროს, რა საჭირო იქნება პერსონალი?! მაგრამ ცოტანი არიან, თვით ხელისუფალთა შორის, გაუპატიურებაზე რომ ოცნებობენ, რაზე აცდენენ ამ პატიოსან ხალხს ასეთ უმადურ საქმეზე?!ძ, – თუ არა „ღმერთის გარდაცვალება“?! „თავის ტყეში“ დარჩენილ, თუ გადარჩენილ, ზოგიერთ ჩვენს წმიდანს კი ჯერ არც ღმერთის გარდაცვალება სმენია და არც ანდაზის უკვდავება.



„კავკასიის“ ტელეეთერში, „სპექტრის“ მასპინძელ დავით აქუბარდიასთან საუბრისას (12.07.2011ძ, 26 მაისის მხეცური დარბევით გაოგნებული პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ ჟურნალისტური კორპუსი ამ მხეცობის მთავარი ორგანიზატორის დედასთან მისულიყო და ასეთი არსების გაზრდისათვის (რა მდიდარია ქართული ენა, „გაზრდისა“ და „აღზრდის“ ცნებებს რომ განასხვავებს! ასეთი ნიუანსების გარჩევისათვის ბევრი ევროპული ენა თავს არ იწუხებსძ მისგან მოეთხოვა პასუხი. ერთ-ერთი მაყურებლის თხოვნაზე, ისინი აჩვენეთ, ვინც იმ ღამეს ხალხს არბევდაო, ბატონმა რამაზმა უპასუხა: **„ისინი არ აჩვენოთ. მათი ოჯახის წევრები აჩვენეთ. დედა, მამა – ვინც გაზარდა; და, ძმა – ვინც ამას იტანს; ცოლი, შვილი – ვინც ამის მემკვიდრეები იქნებიან, რათა იგრძნოს იმან, რომ ის ამ საქციელით თავის ახლობლების მიმართაა პასუხისმგებელი. არა მარტო ჩვენს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისთვის ძვირფასი ადამიანების მიმართ. ჩვენ რაღაც მოგვეშალა. ქართველს ჰქონდა ის, რომ ანამუსებდა და ასეთი დანამუსების ინსტიტუტი მოიშალა, რაც ისევ ერის ცოტა გაწყალებას ნიშნავს, ჩვენი შიდა ღირებულებების გაწყალებას, და ის სიმკაცრე, რითაც ქართველი კაცი ითხოვდა მორალის და ღირებულების დაცვას, ეტყობა, საჭირო იყო... მაშინ მივიდეს ჟურნალისტური კორპუსი, შესანიშნავი ქალია გიული, მიშას გამზრდელი, და ჰკითხოს გიულის, ისტორიკოსია ბრწყინვალე, მის მიერ აღზრდილი** (ბატონ რამაზი აქ სტილისტიკას არღვევს: „გაზრდილი“ უნდა ეხმარა – **ო.ხ.**ძ **ადამიანი** (მე აქაც სხვა სიტყვას ვიხმარდი – **ო.ხ.**ძ **ასეთი აგრესიული როცაა თავისი საკუთარი მოსახლეობის მიმართ, თვითონ გრძნობს თუ არა თავის პასუხისმგებლობას?“**

პატივცემულ პოლიტოლოგს, ალბათ, ჰგონია, რომ „ბრწყინვალე ისტორიკოსი“ აკაკის ჰაჯი-უსუბივით იტყვის, „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო“ და საფეთქელში მიიჭედავს ცხელ ტყვიას. მაგრამ „ნურას უკაცრავად“ (ეს გამოთქმა შვილს დედისაგან უნდა ჰქონდეს ნასწავლიძ! ყველაფრიდან ჩანს, რომ „ბედნიერი“ დედა ამაყობს თავისი „პრეზიდენტი“ შვილით! სულ ახლახან, ქალბატონი გიული, მზია ბებიასთან ერთად, ისე გახარებული უზნობდა „რუსთავი-2“-ის ეთერში, ვითომც არაფერი მომხდარიყოს! ვერ დავიჯერებ, რომ მას წაკითხული არ ჰქონდეს აკაკის „გამზრდელი“, მაგრამ დაახლოებით ისე, როგორც რობერტ სტურუას ბავშვობაში – „ვეფხისტყაოსანი“: „ბავშვობაში მამაჩემი მიკითხავდა „ვეფხისტყაოსანს“. ბევრს ვერაფერს ვხვდებოდი, მაგრამ სიუჟეტი ვიცოდი... მოვიგონე პერსონაჟი, კაცი, რომელიც ვერ იტანს ამ წიგნს, მაგრამ ნაწარმოებს დგამს იმისათვის, რომ აუხსნას ქართველებს ეს იდიოტიზმი. არ შეიძლება დაიჯერო, რომ ეს არის შენი ენციკლოპედია, რომელიც გამოხატავს ქართულ სულს... არანაირ ქართულ სულს არ გამოხატავს, რადგან ლაპარაკია მხოლოდ იდეალებზე, რომანტიზმზე და არც ერთი სიტყვა არაა სიმართლისა. პერსონაჟი, რომელიც ყველაფერს აბითურებს, ცინიკოსი კი არ არის, მეცნიერია, რომელიც შეწუხებულია იმით, თუ რატომ ითვლება ეს წიგნი ქართული პოეზიის, აზროვნებისა და ფილოსოფიის ერთადერთ შედევრად. დასაწყისში ასეთი ეპიზოდია: წიგნი უჭირავს ხელში და ამბობს: აქ არის ქართული სული? მოისვრის და დაიფანტება ფურცლები. ნებისმიერი მაყურებელი ჩავარდება შოკში. ის კი განაგრძობს: ასეთი ბუტაფორია 7 ცალი მაქვს ყუთში, გადასაყრელადო“.

რაც შეეხება მზია ბებიას, იგი წერეთლის ქალია, შვილიშვილის მხრიდან კი – „ჰაბსბურგების ყვავი-ჩხიკვის მამიდა!“ ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამ სიმაღლიდან ნაცემი ან მოკლული ადამიანები ჭიანჭველებად ეჩვენებოდეს?!

ბატონ რამაზს იქნებ იმედი აქვს: ბურის (გლეხისძ შვილის, ვან-დალების ქვეყნიდან ქართველების გასაბედნიერებლად „გაპირველლედებულის“? მაგრამ მისი აზრით, „სტალინისა და ბერიას მშობელ ხალხს“, თურმე, „მაგარი ხელი სჭირდება“ და მისი ქმარი „ღმერთს გამოუგზავნია საქართველოსათვის“ (ეს ფრაზა, არ ვიცი, ქალბატონმა სანდრამ ისწავლა ბატონი კიკაბიძისაგან (ისიც ხომ „ბაგრატიონია“, როგორიც ბატონი მიხეილი – „ჰაბსბურგი“ძ, თუ ბატონმა კიკაბიძემ ქალბატონი სანდრასაგან?ძ. მაგრამ დავუბრუნდეთ პატივცემულ პოლიტოლოგს.

**ბატონი რამაზი იმედია, არ გამიწყრება ერთადერთი კითხვისთვის: ღმერთის გარდაცვალების ამბავი რომ არ გაუგია, გასაგებია; მაგრამ ქართული ანდაზის უკვდავების ამბავი როგორღა გამორჩა?!**

**ომარ ხახაშვილი,**
ჯერჯერობით თავისუფალი ჟურნალისტი,
ბელგიის მოქალაქე

ინფორმაცია

### იაპონელებმა საქართველო ვებგვერდზე აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე შეიტანეს

**იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს ვებგვერდზე საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშეა გამოსახული.**

**სააგენტო სამხრეთ-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ, სამხრეთ აზიას და კავკასიას ფარავს.**

**ცენტრალური აზიისა და კავკასიის განყოფილებაში აღნიშნულია, რომ ამ რეგიონის ქვეყნები უძველესი დროიდან ვაჭრობით იყვნენ ცნობილი და ტვირთების და ადამიანების გადაადგილება აბრეშუმის გზის მეშვეობით ხდებოდა.**

**დღეს კი საბაზრო ეკონომიკის ცვლილებების კვალდაკვალ რეგიონის ქვეყნების ნაწილში სიღარიბე რჩება, ნაწილი კი დემოკრატიული რევოლუციების შემდეგ ვითარდება.**

**– რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ნავთობისა და გაზის ჩათვლით, და იშვიათი მეტალებით, მაგალითად, როგორიცაა ურანი. ამ ფონზე საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი რეგიონისადმი იზრდება, საავტომობილო და სარკინიგზო გზების რეაბილიტაციის თვალსაზრისით, ასევე, დაწყებულია მსხვილი გაზსადენის მშენებლობა, – აღნიშნულია სააგენტოს ვებგვერდზე. სააგენტო ასევე წერს, რომ რეგიონის ქვეყნების დიდ ნაწილში უმუშევრობა გადაუჭრელ პრობლემად რჩება, შესაბამისად, პროგრესის მიღწევის აუცილებლობა ისევ სახეზეა**

### ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სომეხი ტურისტები დაშავდნენ

**ქუთაისის შესასვლელთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სომეხი ტურისტები დაშავდნენ.**

**ინციდენტი გუშინ გამთენიისას მოხდა. ერთმანეთს სომხეთიდან ქობულეთის მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსი და ქუთაისიდან თბილისისკენ მიმავალი სატვირთო მიკროავტობუსი შეეჯახნენ.**

**გავრცელებული ინფორმაციით, 7 ტურისტის გარდა დაშავდა სატვირთო მიკროავტობუსის მძღოლიც. დაშავებულები ადგილობრივ საავადმყოფოში არიან გადაყვანილები. ექიმების განცხადებით, რამდენიმე მათგანის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, თუმცა არც ერთი პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

**ავტოავარიის მიზეზს გამოძიება დაადგენს.**

ინტერპრესი

⊙ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

**დამოუკიდებლობის პირველმა ათწლეულმა ვერ გახადა საქართველო ლიბერალურ დემოკრატიად, და ახლა იგი თითქოს ცდილობს ამის გაკეთებას რევოლუციური გზით. თითქოსდა „ვარდების", „ნარინჯის" და „ტიტას" რევოლუციები ჩაახუტებდნენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს დასავლეთთან, მაგრამ მათმა ლიდერებმა ვერ შეძლეს მიეღწიათ ვერც პოლიტიკური და ვერც ეკონომიკური სახელმწიფო სტაბილურობისთვის. საქართველოში ვარდების რევოლუციის შემდეგ მოეწყო ორი დიდი საპროტესტო აქცია. მიმდინარე წლის მაისის ბოლოს გამართული მორიგი აქცია და მისი დარბევა – ეს უკვე ქვეყნის პოსტრევოლუციური ისტორიის მესამე შემთხვევაა.**

2007 წლის ნოემბრისა და 2011 წლის მაისის მოვლენები ჰგვანან ერთმანეთს. ორივე შემთხვევაში წამოყენებული იყო მოთხოვნები პრეზიდენტის გადადგომის შესახებ და ორივე შემთხვევაში დემონსტრანტებს გაუსწორდა პოლიცია. მაგრამ 2007 წელს სახელმწიფოს მეთაურმა დათმო, წელს კი პროტესტები უშედეგო აღმოჩნდა (თუმცა პროტესტის ბევრ მონაწილეს ხელში ჰქონდა ლითონის მილები, რომლითაც ისინი თითქოსდა აპირებდნენ „თავდაცვას"). საპროტესტო აქციის დარბევისთვის ოფიციალური მიზეზი იყო ის, რომ მისმა მონაწილეებმა გადაწყვიტეს გაეგრძელებინათ თავისუფლების მოედანზე ყოფნა ნებაზე უფრო დიდი ხნით. ამ მოედანზე და რუსთაველის პროსპექტზე მეორე დღეს უნდა გამართულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღის დღესასწაული. დაშლაზე ოპოზიციის უარის შემდეგ პოლიციამ დაიწყო აქციის ადგილის „გასუფთავება". იტყობინებოდნენ, რომ შედეგად დაიჭრა დაახლოებით 40 კაცი, ორი კი დაიღუპა (ერთ-ერთი მათგანი პოლიციის თანამშრომელი იყო). მათი დაღუპვის ოფიციალური მიზეზი გახდა ავტომობილი, რომელსაც მოვლენის ადგილიდან გადაჰყავდა ოპოზიციის ლიდერი ნინო ბურჯანაძე, რომელმაც გამოაცხადა „რევოლუციის დაწყების შესახებ".

და მაინც, რა მოხდა? ნიშნავს კი საქართველოში მიმდინარე შეუწყვეტელი პროტესტები, რომ ვარდების რევოლუციის იდეალები წარსულში დარჩა? თუ იწყება ანტივარდების – „ვერცხლის" – რევოლუცია? ან იქნებ ეს წარუმატებელი გადატრიალებაა, რომელიც ჩაიფიქრა გარეშე ძალებმა?

მართალია, საქართველო პრინციპულად დემოკრატიული სახელმწიფოა, მაგრამ მისი დემოკრატიის ხარისხი სჯობდა, რომ უკეთესი ყოფილიყო. ადამიანის უფლებების დაცვის მეთვალყურეები ხშირად უწოდებენ მას „რეპრესიულ დემოკრატიას". ისინი საუბრობენ საფრთხის შესახებ ადამიანის უფლებებისთვის, რისი მიზეზიც გახდა ცალკეული ცვლილებები კანონებში (განსაკუთრებით, რომლებიც შეეხება საპროტესტო აქციების მოწყობის წესს). საქართველოს მასობრივი ინფორმაციის ძირითად ნაწილს სახელმწიფო აკონტროლებს, მაგრამ ნებადართულია ოპოზიციური ბეჭდვითი სიტყვაც, არხი „მაესტრო" კი ეკუთვნის ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერს.

თითქოსდა „რეპრესიული დემოკრატია" ეს არ არის ის, რისკენაც ისწრაფოდა ვარდების რევოლუცია. მაგრამ ვარდი – ეს წინააღმდეგობის შემცველი ყვავილია. ხომ არ შეეშალა მიხეილ სააკაშვილს რევოლუციის სიმბოლოს შერჩევა, რითაც იგი იქნებოდა არა მხოლოდ გამარჯვებებს, არამედ დამარცხებებსაც? ახალგაზრდა ქვეყანას ხომ, რომელსაც არ გააჩნდა დემოკრატიული გამოცდილება, უჭირს რამდენიმე წლის განმავლობაში გადაიქცეს ეფექტიან ლიბერალურ სახელმწიფოდ მოქველებული ეკონომიკით. მიხეილ სააკაშვილმა ნაწილობრივ შეძლო ამ უბედურების მორჯულება, უბედურებისა, რომელიც გახდა მიზეზი ე.შევარდნაძის წინააღმდეგ აჯანყებისთვის. ერთ-ერთი ინდექსის თანახმად, 2003 წელს კორუფციის დონით საქართველო 124-ე ადგილზე იმყოფებოდა, 2008 წელს კი – უკვე 67-ე ადგილზეა და ეს მაჩვენებელი რჩება საკმაოდ სტაბილურად.

# ახალი რევოლუცია, გადატრიალება თუ რიგითი უწესრიგობანი?




ახალგაზრდობას არ სურს დაუბრუნდეს ე.შევარდნაძის კორუფციისა და დანაშაულობათა დროს. ამიტომ არ აქვს ოპოზიციას მისი იმედი, თუმცა სწორედ ამისი იმედი ჰქონდა ნ.ბურჯანაძეს. მთლიანად ოპოზიციონერებს სერიოზული პრობლემები აქვთ სოციალურ პლატფორმასთან და პროგრამასთან დაკავშირებით. ოპოზიციონერები საკმაოდ გათიშულები არიან ერთმანეთისგან. ვერ შეძლეს შეთანხმებულიყვნენ შემდგომი მოქმედებების შესახებ. ჩამოყალიბებულ ვითარებაში და ზუსტად ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი საქართველო: ოპოზიციის ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო უფლებამოსილებანი აუცილებლად უნდა შეიკვეცოს, მეორე კი გამოთქვამს მოსაზრებას საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლის შესახებ.

რამდენად რეალურია „ვერცხლის რევოლუცია", რამდენად ძლიერია ოპოზიცია? მღელვარებანი საქართველოში არ არის ახალი ამბავი, მაგრამ წინა პროტესტების დროს არავინ საუბრობდა სისხლისღვრაზე და რევოლუციაზე. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა, მაგრამ დღეს ოპოზიციური მოძრაობის ნაწილი გამოდის ძალადობის წინააღმდეგ გადაჭრით: მაგალითად, ი.ალასანია, რომელიც ოპოზიციის რიგებს შეუერთდა 2009 წელს. იგი და კიდევ ერთი ოპოზიციონერი – გ.თარგამაძე – იმედოვნებენ, რომ მომავალ არჩევნებში მათ მხარს დაუჭერს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ამრიგად რადიკალური ოპოზიცია ვარაუდობს თითქოსდა მშვიდ მასობრივ უკმაყოფილებაზე. ეს უკმაყოფილება საქართველოში არსებობს ინფლაციისა და ცხოვრების მძიმე პირობების გამო, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ამჩნევს მიხეილ სააკაშვილის მიღწევებს მისი წინამორბედის მმართველობის დროსთან შედარებით და ამიტომ ოპოზიცია ძირითადად ფსონს ჩადის 2-5 ათას კაცზე, რაც არ არის საკმარისი კიდევ ერთი „ფერადი რევოლუციისთვის".

მაისში თბილისში მომხდარი მოვლენები იყო წარუმატებელი გადატრიალება, რომელიც გარეშე ძალებმა დაგეგმეს? მ.სააკაშვილმა, რომელიც დამოუკიდებლობის დღესასწაულთან დაკავშირებით გამოდიოდა სიტყვით, თქვა, რომ ოპოზიციური ძალები ცდილობდნენ, ჩაეშალათ სამხედრო აღლუმი და მოეხდინათ დესტაბილიზაცია ქვეყანაში იმ ძალების გეგმის შესაბამისად, რომელიც დაამუშავეს საზღვარგარეთ. როდესაც „საზღვარგარეთზე" საუბრობდა, მას ალბათ მხედველობაში ჰქონდა რუსეთი, ვინაიდან „გუშინ ჩაფიქრებული, – საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, – ეს იყო თავდასხმა ჩვენს თავისუფლებაზე და შურისძიება ჩვენს არმიაზე, რომელმაც 2008 წელს მიაყენა მათ (რუსეთს) ისეთი ზიანი, რაც მათ არ განუცდიათ უკანასკნელ წლებში".

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრიც შეეცადა დაეკავშირებინა მაისის მოვლენები მოსკოვთან. ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ნ.ბურჯანაძის სატელეფონო საუბარი თავის შვილ ანზორ ბიწაძესთან, რომელშიც ისინი განიხილავენ, თუ რა გააკეთონ, როდესაც პროტესტანტებს თავს დაესხმიან სპეცნაზელები. ა.ბიწაძე, კერძოდ, ამბობს: „იცი რა? თუ კოჯრის ბატალიონი მესვრის, პირველ შეტევას მოვიგერიებ. შემდეგ კი გაარკვიონ ურთიერთობა სპეცნაზთან". ნ.ბურჯანაძემ დაადასტურა ვიდეოჩანაწერის აუთენტურობა, მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, რომ ფრაზები მასში „კონტექსტიდან ამონაჭრებია". სხვა ინტერვიუში მან თქვა, რომ რუსეთის მხარდაჭერას იგი არ ელოდება. მაგრამ მისი ურთიერთობანი მოსკოვთან იწვევენ გარკვეულ შეკითხვებს. რად ღირს თუნდაც ქალბატონ ნინოს პრორუსული განცხადებები იმის შესახებ, რომ 2008 წლის ომის დროს ქართველები თავად ბომბავდნენ გორს!

საინტერესოდ გამოიყურება ამ თვალსაზრისით რუსი პოლიტოლოგის ა.სპაკოვის აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთს საერთოდ არ სჭირდება რაიმე გადატრიალება საქართველოში ან სხვაგვარად სიტუაციის დესტაბილიზაციის მცდელობა ქვეყანაში – რუსეთისთვის უკეთესია თუ სააკაშვილი თავად დამარხავს თავის თავს. ამას გარდა, სანამ საქართველოს უხელმძღვანელებს ამჟამინდელი პრეზიდენტი, იგი ომის მდგომარეობაში იქნება რუსეთთან და ქვეყნის შესვლა ნატოში ნაკლებად სავარაუდოა.

„რუსული რევოლუციის" სცენარი საქართველოში შესაძლებელია, მაგრამ თუ შეთქმულებს მხარს დაუჭერდნენ გარეშე ძალები, ისინი გაცილებით უკეთ იქნებოდნენ მზად გადატრიალებისთვის. უფრო მეტიც, ოპოზიციის ლიდერები ძირითადად სკეპტიკურად უყურებენ რუსეთს. და ანტირუსული განწყობილების პირობებში „რუსული კვალი" მხოლოდ კომპრომეტაციას მოახდენდა და გაართულებდა ქვეყნის მართვის პროცესს.

თუ ნათქვამს შევაჯამებთ, უნდა აღინიშნოს: საუბარი იმის შესახებ, რომ ვარდების რევოლუციის მიღწევები საქართველოში წარსულს ჩაბარდა, ნაადრევია. თუ მ.სააკაშვილი ან მისი მემკვიდრე არ იქნებიან არჩეული მომდევნო არჩევნებში, ძნელად რომ პრეზიდენტის პოსტი პრორუსულმა კანდიდატმა დაიკავოს. საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის რეალური ოპოზიცია არსებობს, მაგრამ იგი ფრაგმენტალურია. მის რადიკალურ ფრთას სურს, მოაწყოს ახალი რევოლუცია, ზომიერი ნაწილი კი ელოდება უახლოეს არჩევნებს. მაგრამ სანამ ოპოზიცია არ გაერთიანდება და არ მიიღებს მოსახლეობის ფართო მხარდაჭერის იმედს, მისი ეპიზოდური პროტესტები რჩება რიგით უწესრიგობად და საფუძვლად თეორიისა, საგარეო ძალების გადატრიალების შესახებ.

GEOPOLITIKA

## დედამიწის ზურგზე



**პოლონეთის სამთავრობო მოხსენება ტუ-154 კატასტროფაში, რომლის დროსაც კაჩინსკი დაიღუპა, ბრალს პოლონურ მხარეს სდებს**

**კომისიის მოხსენება, რომელსაც ხელმძღვანელობდა პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მილერი, გადაეცა პრემიერს ივნისის ბოლოს და მას თარგმნიან რუსულ და ინგლისურ ენებზე. პოლონეთი მას გამოაქვეყნებს პარასკევს. იტყობინებიან, რომ კომისიამ ტრაგედიის 150 დამნაშავე დაასახელა, მაგრამ მოხსენებაში სახელები არ იქნება ხსენებული – ამ სახელებს მიიღებენ მხოლოდ შესაბამისი ორგანოები.**



* * *

**ევროპაში შეიქმნა „წამებულთა" დაახლოებით 80 უჯრედი, ამტკიცებს ნორვეგიელი ტერორისტი ბრეივიკი**



**ტერორისტის აღიარებით, იგი დაიქირავეს თავის თანამზრახველებთან ერთად ლონდონში 2002 წელს. ღონისძიების შედეგი გახდა „ევროპის სამხედრო ორდენისა და ტრიბუნალის" შექმნა. გამოირკვა, რომ ბრეივიკის თანამზრახველებს შორის არიან რუსეთელებიც.**

* * *

**უკრაინის შახტში ჭანი ჩამოიშალა – დაიღუპა ერთი მაღაროელი, სამს ეძებენ**

**ინციდენტი მოხდა სამშაბათს ღამით დონეცკის ოლქში. შახტში 96 კაცი იმყოფებოდა, ავარიულ მონაკვეთზე მუშაობდა 16, ჭანში კი მოხვდა ხუთი კაცი. შახტში მიმდინარეობს საძიებო გადასარჩენი სამუშაოები.**

⊙ ერიჰა!

# გაშვილებას გადარჩენილი პრეზიდენტი

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას მშობლები თურმე შვილზე... უარის თქმას აპირებდნენ! ამ სენსაციურ ამბავს ქვეყნის საემიგრაციო სამსახურის გამოქვეყნებული მასალები ადასტურებს.**

1961 წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებული შტატების საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებმა 24 წლის ბარაკ ობამა-უფროსზე მრავალცოლიანობის ეჭვი მიიტანეს. იმ დროს მომავალი პრეზიდენტის მამას, ჰავაის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტს, ცოლად ამერიკელი ენ დანჰემი ჰყავდა.

საემიგრაციო სამსახურის ჩინოსნები ობამა-უფროსის კენიაში მანამდე ქორწინების ამბავმა დააინტერესა. მაგრამ სტუდენტმა განაცხადა, რომ პირველ ცოლს უკვე გაცილებული იყო. მისი თქმით, მეორე ცოლი იმ დროისთვის ფეხმძიმედ იყო და მათ მისი დაბადებისთანავე ბავშვზე უარის თქმა ჰქონდათ გადაწყვეტილი. მომავალი მამის თქმით, ენ დანჰემი, რომელიც, სხვათა შორის, ობამასგან ცალკე ცხოვრობდა, ბავშვის გაშვილების თაობაზე ხსნის არმიასთან უკვე წინასწარ იყო მოლაპარაკებული.

ეს ამბავი ცნობილი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების 44-ე პრეზიდენტის მამის ბიოგრაფიის შესწავლის ფარგლებში, როცა ქვეყნის საემიგრაციო სამსახურის 1961 წლის დოკუმენტებს გაეცნენ.

პრეზიდენტის ნათესავების თქმით, მათ არაფერი სმენიათ ობამა-უფროსისა და ენ დანჰემის ბავშვის გაშვილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. როგორც ჩანს, ამერიკის პრეზიდენტის მამამ გაშვილების ამბავი შტატებში ყოფნის ვადის გასახანგრძლივებლად მოიგონა.

**ირმა ირემაშვილი**



⊙ ინფორმაცია თემაში

**ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მამა ბარაკ ჰუსეინ ობამა-უფროსი, წარმოშობით კენიელია, იგი ლუოს ეროვნების ექიმბაშის შვილია, თავისი მეორე მეუღლე სტენლი ენ დანჰემი ჰავაის შტატის უნივერსიტეტში გაიცნო, როცა კენიაში მისიონერულმა სკოლამ, ნაირობიში მისი სწავლის ფულის გადახდის შემდეგ, იგი ეკონომიკის შესასწავლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნა. ბარაკ ობამა-უფროსის მამა და ენ დანჰემის მშობლები ქორწინების წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალგაზრდები 1961 წლის 2 თებერვალს მაინც შეუღლდნენ. ორი წლის მერე, ბარაკის დაბადების შემდეგ, მამამისი სწავლის გასაგრძელებლად ჰარვარდში გაემგზავრა, მაგრამ დანჰემი და ობამა-უმცროსი მალევე ჰავაიზე დაბრუნდნენ. ბარაკის მშობლები 1964 წლის იანვარში გაიყარნენ.**

№ 139. ოთხშაბათი, 27 ივლისი, 2011 წელი.

SIC!

**ფრთხილად, მშობლებო, თქვენს შვილებს კლავენ! კლავენ და თან მათ სიკვდილში თქვენ ფულს გახდევინებენ! წამალი, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ წარმოებიდან ამოიღო, ჯანმრთელ ადამიანშიც კი ჰალუცინაციებს და სუიციდისადმი მიდრეკილებას იწვევს. აღნიშნული წამალი საქართველოში თავისუფლად იყიდება და მას ძირითადად ახალგაზრდა მომხმარებელი ყავს.**

**ეს წამალი მსოფლიო ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2004 წელს აკრძალა, საქართველოში კი მისი დამზადების ლიცენზია ჯანდაცვის სამინისტრომ 2011 წლის 7 თებერვალს გასცა. ვინ ამზადებს მომაკვდინებელ წამალს, დღემდე არც ერთ მედიასაშუალებას არ დაუფიქსირებია, წერენ წამლის უარყოფით თვისებებზე და გვერდს უვლიან მთავარ მომენტს — ვინ კლავს ბავშვებს!**

# ფრთხილად მშობლებო, ავერსის „ლირიკა" კლავს!

## ვისი ჯიბის გასქელებას ეწირება ჩვენი შვილების ჯანმრთელობა?

ეს წამალი მსოფლიოში „ლირიკის" სახელითაა ცნობილი, საქართველოში მისი შემოტანა 2004 წლიდან დაიწყეს და, როცა მსოფლიო ბაზარზე მისი შეტანა აიკრძალა, „ნაციონალური ხელისუფლების ფარმაციამ" გამოსავალი მაინც იპოვა და „ლირიკას" „ჰელიმონი" დაარქვა. დღეს „ლირიკაც" და „ჰელიმონიც" თავისუფლად იყიდება აფთიაქებში. ორივე წამალზე ექსკლუზივი „ავერსს" აქვს. მეტიც, 2011 წელს ავერსმა მოიპოვა ლიცენზია და თავად დაიწყო „ჰელიმონის" გამოშვება. ამ წამალს ძირითადად 12-15 წლის ბავშვები ეტანებიან.

**„ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ჩემს რამდენიმე მოსწავლეს გაკვეთილების დროს უცნაური ქცევა შევამჩნიე. ერთს პირდაპირ გაკვეთილის მსვლელობისას ჩაეძინა და კინაღამ სკამიდან გადმოვარდა, მეორეს ჩემი კითხვები არ ესმოდა და უაზრო, არაფრისმთქმელი თვალებით მიყურებდა, მესამე ხომ საერთოდ... გადაღლილობას და უძილობას დავაბრალე და განგაში არ ამიტეხავს, მაგრამ მსგავსი შემთხვევები სხვა დროსაც რომ განმეორდა, შევშინდი... კოლეგებთან ვცადე გამერკვია რა ხდებოდა და გავიგე, რომ ეს ბავშვები წამლებით იყვნენ გაბრუებულები",** — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის მასწავლებელმა, რომლის გვარსაც გასაგები მიზეზებით ვერ ვასახელებთ.

**„ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მედიკამენტია და თითქმის, ყველა აფთიაქში დაუბრკოლებლად იყიდება, მაგრამ ზუსტად ისეთი ნარკოტიკული თრობა ახასიათებს, რაც აკრძალულ და ფსიქოტროპული კლასიფიკაციის მედიკამენტებს. როგორც გავიგე, აფთიაქებში ასეთი რამდენიმე დასახელების მედიკამენტი გამოჩნდა. ერთ-ერთს რატომღაც „ლირიკა" ქვია.**

**დოზების მიხედვით ერთი აბი 2-დან 3 ლარამდე ღირს. ეს ისეთი თანხაა, რომელსაც სურვილის შემთხვევაში ყველა მოზარდი იშოვის და თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა ხდება — სკოლებში ბავშვები გამოდიან დასვენებებზე, აფთიაქებში შედიან, ამას ყიდულობენ და დადიან გამოშტერებულები. ვფიქრობ ამაზე უნდა იმსჯელოს პარლამენტმა და საზოგადოებამ.**

**ყველაფერს რომ თავი დავანებოთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, როცა პრეპარატს, რომელსაც აწერია, რომ ექიმის რეცეპტის გარეშე არ უნდა გაიცეს, არასრულწლოვანს ყოველგვარი რეცეპტის გარეშე ატან. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ფსიქოტროპული წამალი ჩვეულებრივ აფთიაქში იყიდება. ამ აფთიაქებმა ოღონდ ფული იშოვონ და მომავალი თაობაც ფეხებზე ჰკიდიათ და ყველაფერი. შეიძლება ასე გადაგვარება?"**

ინფორმაციის გადამოწმება არც ისე რთულია. „ლირიკა" და „ჰელიმონი" ყველა აფთიაქში იყიდება, ზოგან რეცეპტს გთხოვენ, და როგორც ხსნიან, თურმე, ორი კვირის წინ ბრძანება მიიღეს ურეცეპტოდ არ გაყიდონ. ეს ზოგან, ძირითადად კი ორივე დასახელების წამალი, საქართველოში მოქმედი ორ სააფთიაქო ქსელში უპრობლემოდ ვიყიდე რეცეპტის გარეშე.

ავერსიც და პსპ-ც ამ წამალს დღემდე ურეცეპტოდ ყიდის! პირადად მე ერთი აბი ავერსში შევიძინე, მეორე პსპ-ში! ავერსის აფთიაქის (ვეკინზეძ გამყიდველმა გოგონამ ყურადღებით შემათვალიერა და მითხრა, რომ ამ პრეპარატით რატომღაც მოზარდები დაინტერესდნენ, გარკვეული აკრძალვები გაჩნდა და „ლირიკა" ფსიქოტროპულ აფთიაქებში გადაიტანეს. ძალიან შევწუხდი, აბა ამ სიცხეში სიარული სად შემიძლია-მეთქი, ერთი აბი მაინც არა გაქვთ-მეთქი? გოგონას შევეცოდე და ფირფიტიდან რომელზედაც სამი კაფსულა იყო დარჩენილი, ერთი ჩამომიჭრა, გამიღიმა და მითხრა — შემორჩენილი გვაქვსო...

„შემორჩენილი" წამლის ანოტაცია მასწავლებლის მონაყოლზე შოკისმომგვრელი იყო. აღმოჩნდა, რომ ბავშვები აფთიაქებში თავისუფლად და სრულიად ხელმისაწვდომ ფასად ყიდულობენ პრეპარატს, რომლის მოქმედების მექანიზმი ბოლომდე გამოკვლეული არ არის, თუმცა დადგენილია, რომ წამალს ღებულობენ ნეიროპათიური ტკივილების, აღგზნებადობის და ეპილეფსიის შემთხვევებში. წამლის უკუჩვენებებში შედის გონების დაბინდვა, ორიენტაციის დაკარგვა, დეპრესია, მოუსვენრობა, ჰალუცინაციები, სექსუალური ლტოლვის მომატება და დისფუნქცია, თავბრუსხვევა, მხედველობის დაქვეითება, დაელმება, ტაქიკარდია, წნევის დაცემა, ცხვირიდან სისხლისდენა, კუჭის მოქმედების მოშლა, პანკრეატიტი, სახსრების შეშუპება, შარდის შეუკავებლობა, მენსტრუაციული ციკლის მოშლა, წონის მატება და ა.შ.

ფარმაცევტული საქმიანობის სამსახურის უფროსის თამაზ კვირკველიას განმარტებით, ზემოთ ხსენებული პრეპარატების (რომლებიც თურმე სხეულის ყველა ორგანოს და განსაკუთრებით ფსიქიკის დაზიანებას იწვევს) ურეცეპტოდ გაყიდვა ამიერიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება და სოლიდური ფულადი ჯარიმით დაისჯება.




**„ამგვარი კატეგორიის 10 პრეპარატიდან საქართველოში გავრცელებულია „ლირიკა" და „ჰელიმონი". მათი გაყიდვა დღეიდან ფაქტობრივად იკრძალება და გამოიყოფა მხოლოდ რამდენიმე აფთიაქი, სადაც მოქალაქეები რეცეპტით შეძლებენ წამლის შეძენას. პრეპარატის ურეცეპტოდ გაყიდვის შემთხვევაში, იმ პირების მიმართ ვინც კანონს დაარღვევს, იქნება საკმაოდ მკაცრი ჯარიმები".**

მაგრამ დააჯარიმებენ ვის? ალბათ, გამყიდველს და არა წამლის მწარმოებელს, ლიცენზიის გამცემს მით უფრო, რაც იმას ნიშნავს, რომ მოზარდზე რომ არაფერი ვთქვათ, ავერსის მფლობელის პაატა კურტანიძის ჯიბის გასქელებას კიდევ ერთი შეწირული — მისივე სააფთიაქო ქსელის თანამშრომელი ეყოლება.

**ნანა მაისაშვილი,**
Presage.tv

ინფორმაცია

## რატომ ვერ ხერხდება დაღუპულის გადმოსვენება?

**დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში მცხოვრები ჟამურულების ოჯახი, დოკუმენტებთან დაკავშირებული პრობლემების გამო, საბერძნეთიდან საქართველოში 21 წლის რეზო ჟამურულის ცხედრის გადმოსვენებას მე-15 დღეა უშედეგოდ ცდილობს.**

**ოჯახმა დახმარება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსაც სთხოვა, მაგრამ გარდაცვლილის ახლობლების თქმით, საბერძნეთში საქართველოს საკონსულო პრობლემით არ დაინტერესდა.**

**გარდაცვლილის ოჯახის წევრების განცხადებით, რეზო ჟამურული საბერძნეთში ლეგალურად იყო წასული და ტურისტულ სააგენტოში მუშაობდა.**

**წინასწარი ინფორმაციით, 21 წლის ახალგაზრდა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.**

ХО-ЭОВ-ЭНО

ჩვენი კარაბადინი

## ის სისხლი არაა



**ჩასახვის უნარი ქალების სისხლის ჯგუფთან არის დაკავშირებული, მიაჩნიათ ამერიკელ მეცნიერებს. მათ განსაზღვრეს სისხლის ჯგუფი და ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონის დონე, რომელიც ხელს უწყობს კვერცხუჯრედებისა და ოვულაციის (მომწიფებული კვერცხუჯრედის გამოსვლა საკვერცხიდან) მომწიფებას.**

შემოწმება გაიარა 560 ქალმა, რომლებიც მკურნალობდნენ უშვილობაზე. აღმოჩნდა, რომ ფოლიკულომასტიმულირებელი ჰორმონის დონე 2-ჯერ უფრო ხშირად აჭარბებდა ნორმალურ მაჩვენებლებს სისხლის პირველი (0) ჯგუფის ქალებში. გამოკვლევის ავტორების სიტყვებით, ამ ჰორმონის გაზრდილი დონე აჩქარებს კვერცხუჯრედების მომწიფებას, რასაც მივყავართ კვერცხუჯრედებში მათი მარაგის უფრო სწრაფ გამოლევასთან.

## გაიღვიძე და იმღერე!

**სიმღერა გვიმსუბუქებს ტკივილებს და გვეხმარება გახდომაში. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მკვლევარები ჰარვარდის უნივერსიტეტიდან. თანაც ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა, აქვს თუ არა ადამიანს სმენა და იცის თუ არა მან ზეპირად სიმღერის სიტყვები.**

მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე კლინიკაში მოაწყვეს ექსპერიმენტი. პაციენტებს შესთავაზეს ემღერათ ხშირად. აღმოჩნდა, რომ მომღერლებმა იგრძნეს ტკივილების შესუსტება და ეს დაეხმარა მათ უფრო სწრაფად აღედგინათ ძალები ავადმყოფობის შემდეგ. სპეციალისტებმა სიმღერისგან მიღებული ეფექტი ფიზიკურ ვარჯიშს გაუთანაბრეს.

მედიკოსებმა განმარტეს, რომ სიმღერის დროს ადამიანის ორგანიზმი მდიდრდება ჟანგბადით, რაც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, კუნთების ტონუსს და ხელს უწყობს გულისა და ფილტვების მუშაობას.

უკვე არსებობს მეთოდიკა, რომელიც სიმღერის დახმარებით იცავს პაციენტებს ენაბლუობისგან, სტრესის შედეგებისა და ზედმეტი კილოგრამებისგანაც კი.



## იყოლიეთ ძაღლები

**იმ ოჯახებში, სადაც ჰყავთ ძაღლი, ბავშვების არტერიული წნევა უფრო დაბალია, ამტკიცებენ ისრაელელი მეცნიერები. თუ არ გინდათ, რომ თქვენი ბავშვები მომავალში იტანჯებოდნენ ჰიპერტონიისგან, მოუყვანეთ მათ ძაღლი.**

ჩვენს დროში ბავშვების დაახლოებით მესამედს აქვს მაღალი წნევა.

## 12 საბაბი დეპრესიისთვის

**დეპრესიამდე შეიძლება მიგვიყვანოს ბევრმა მარტივმა საყოფაცხოვრებო მიზეზმა, გამოარკვიეს ბრიტანელმა მეცნიერებმა.**

მაგალითად, **სიცხე და ზედმეტი მზის სხივი.** ისინი იწვევენ ჰორმონალურ დისბალანსს, იგი კი, თავის მხრივ — მადის უქონლობასა და უძილობას. **ან ჩასახვის საწინააღმდეგო აბები.** ქალებს, რომლებიც ღებულობენ კომბინირებულ ორალურ კონტრაცეპტივებს (კოკ), დეპრესიები ორჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე მათ, ვინც მათ არ იღებს. **„სწრაფი" ნახშირწყლების ზედმეტი მიღება.** როდესაც სისხლში გლუკოზის დონე უცბად იზრდება, მაგრამ ასევე სწრაფად ეცემა განწყობილებასთან ერთად. **ნამცხვარი მკვეთრი შუქი საძინებელში. ჩაი და ყავა დღის მეორე ნახევარში.** ასევე დეპრესია შეიძლება გამოიწვიოს იმ აბების მიღებამ, რომლებიც დაბლა სწევენ წნევას. ზოგიერთი ბეტა-ბლოკატორი იწვევს არა მხოლოდ დეპრესიულ მდგომარეობას, არამედ, მაგალითად, მამაკაცური ფერტილურობის (განაყოფიერების უნარის) დაქვეითებასაც. **მოწევა.** ის დეპრესიის განვითარებას ზრდის 93 პროცენტით. დროთა განმავლობაში მწეველებს „გამოერთვებათ ხოლმე" ბუნებრივი დოფამინის გამომუშავების მექანიზმი, რაც იწვევს დეპრესიას. **ინტერნეტი.** იმ ხალხს, ვინც დღე-ღამეში ორ საათზე მეტ დროს ატარებენ ინტერნეტში, დეპრესიის განვითარების რისკი აქვთ ორჯერ მეტი, ვიდრე მათ, ვინც საერთოდ არ იყენებს მას ანდა იყენებს მხოლოდ მუშაობისთვის.



**ვეგეტერიანული დიეტა.** დეპრესია რომ არ დაგვემართოს, ვეგეტარიანელებს ურჩევენ მიიღონ თევზის ქონი. **ცუდი ტაიმ-მენეჯმენტი.** ის, რომ სამუშაოს ბოლომდე „ვუძლვნით თავს", გადავდებთ ხოლმე მას ღამის საათებისთვის. **დაბალი ნახშირწყლების დიეტა.** ნახშირწყლების უკმარისობას მივყავართ იქამდე, რომ ორგანიზმი წყვეტს სეროტონინის გამომუშავების რეგულირებას. **პლასტიკური ოპერაციები.** დეპრესია, რომელიც გამოწვეულია სხეულის იერსახის ცვლილებებით, შეიძლება გრძელდებოდეს ერთი წელი, ორი. ყოველთვის როდი შეუძლია ადამიანს აღიქვას იოლად თავისი „ახალი" სახე ან სხეული.

2010 წელს მარტო დიდ ბრიტანეთში 5,5 მილიონი ადამიანი იტანჯებოდა დეპრესიისგან და ისხდნენ ანტიდეპრესანტებზე.

## ჩოგბურთი

# სულ ზემოთ, ზემოთ...



**პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში რამდენიმე ქართველი სპორტსმენი წინა თვესთან შედარებით საგრძნობლად დაწინაურდა.**

განსაკუთრებით თვალსაჩინოა 21 წლის ანა ტატიშვილის პროგრესი — 785 ქულით იგი მსოფლიოს 82-ე ჩოგბანია, 11-საფეხურიან წინსვლას კი ბაქოს პრესტიჟული ტურნირის მეოთხედფინალში გასვლით მიაღწია, სადაც სამსაათიანი ბრძოლა გაუმართა რუს მესამეადგილოსან ვერა ზვონარიოვას და 3 სეტში დამარცხდა.

დავძენთ, რომ ანას მიერ მოხვეჭილმა საპრიზო ფონდმა უკვე 334 ათასი დოლარი შეადგინა, საიდანაც 125 ათასი დოლარი 2011 წელზე მოდის.

**დანარჩენ ჩვენებურთა მონაგარი ასეთია:**

ოქსანა კალაშნიკოვა — 199 (292 ქულა), მაკა ჩახნაშვილი — 207 (273 ქულა), სოფიო შაფათავა — 243 (227 ქულა), თათია მიქაძე — 334 (149 ქულა), ეკა გორგოძე — 438 (88 ქულა), სოფიო ქვაცაბაია — 451 (87 ქულა).

**ვიტალი ჯაფარიძე**

## რაგბი

# მოკრძალებული დებიუტი

**ამ დღეებში საფრანგეთის ქალაქმა ანგლემ ქვიშის რაგბიში ევროპის პირველ ოფიციალურ ჩემპიონატს უმასპინძლა, რომელიც „ფილა აერის“ მიერ იყო ორგანიზებული.**

შვიდკაცა რაგბის მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა (მწვრთნელი — თბილისის „ხულიგანას“ თავკაცი მამუკა ტყეშელაშვილი) დებიუტი მოკრძალებული შედეგით აღნიშნა და ირლანდიის, რუმინეთის, უელსის, რუსეთის, უკრაინის, იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის გუნდებთან დავაში მეშვიდე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ფინალს, მასპინძლებმა რუმინელებს სძლიეს.

**„ჯვაროსანთა“ შემადგენლობა:** შკინინი, თხილაიშვილი, კალმახელიძე, ქოპილაშვილი, აბრამიძე, ჩიტიძე, გეგენავა, ზირაქაშვილი.

**გიორგი შოთაძე**



## მძლეოსნობა

# აბა, სწრაფად, აბა, შორს!

**მონტე-კარლოში გამართულ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ტურნირზე „ბრილიანტის ლიგის“ მეათე ეტაპზე ერთხელ კიდევ გაიბრწყინა იამაიკელმა სპრინტერმა — სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა უსეინ ბოლტმა. მან 100 მეტრი 9,88 წამში გაირბინა.**

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა სიგრძეზე ხტომაში დარია კლიშინასა და მსოფლიო ჩემპიონის, ამერიკელი ბრიტნი რიზის ორთაბრძოლა, თუ მეორე ცდაზე რუსეთელი 6.75 მეტრზე გადახტა, ამერიკელმა მას 6,81 მეტრით უპასუხა. მხოლოდ მეხუთე ცდაზე მოახერხა რუსეთელმა მეტოქესთან მიახლოვება — 6,79. თუმცა არც ამერიკელმა დაახანა და კიდევ ერთი სანტიმეტრი წაუმატა თავის გამარჯვებას — 6,82.



## ადამიანი დროში

# დუბლიორი 120-მანეთიანი ხელფასით

**მტკვრის ნაპირას სახელდახელოდ მოწყობილ მოედანზე ოფლში გახვითქული ბიჭები დიდხანს დასდევდნენ ბურთს. თამაშით გული იჯერეს და ის იყო, შინ წასვლას აპირებდნენ, ერთმა უცნობმა მამაკაცმა 4 ყმაწვილი თავისთან იხმო და ვინაობა გამოკითხა. ერთ-ერთი იუზა ქუნთელია გახლდათ, ის კაცი კი — 35-ე საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი გურამ აკოფაშვილი. ბიჭები სკოლაში მიიწვია და ციტო ვარდიაშვილს ჩააბარა აღსაზრდელად...**

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ბატონ იუზას გუშინდელივით ახსოვს პირველი ნაბიჯები დიდ ფეხბურთში, თანაც ისეთი სპორტსმენების გვერდით, რომლებმაც მოგვიანებით შორს გაიტანეს ქართული ფეხბურთის სახელი.

— ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ დოდიკა ხუნდაძე და ავთო ხელაძე, რომლებიც მოგვიანებით თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს, — იგონებს იუზა ქუნთელია, — დუკა მერკვილაძესთან და ჯონდო შავდიასთან იმალლებდნენ ოსტატობას მიხეილ მესხი, შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, რომლებიც ჩემზე ხუთი წლით უფროსები და უკვე „სტაჟიანი“ ფეხბურთელები იყვნენ, თუნდაც იმ ჭაბუკობის წლებში ერთ რამედ ღირდა მათი თამაშის ყურება.

**— თქვენი მეგობრებისგან შევიტყვე, რომ 35-ე სკოლაში დიდხანს არ გისწავლიათ.**

— პირველი კლასიდან ფრიადოსანი ვიყავი. მშობლებს უნდოდათ, უმაღლესში მესწავლა, საფეხბურთო სკოლაში გადასვლის შემდეგ კი დაბალი ნიშნები გამომერია. სასწრაფოდ დამაბრუნეს ყოფილ სკოლაში. მართალია, უფროსების დიდი ხათრი და სიყვარული მქონდა, მაგრამ ფეხბურთთან განშორება ვერ შევძელი. 1960 წელს მიხეილ ბერძენიშვილმა „იუნი ბურევესტნიკში“ მიმიწვია. ორი წელიწადი ვითამაშე ვახტანგ ჭელიძის, ლაური მანაგაძის, ლერი ელისაშვილისა და ჯონი ჯანელიძის გვერდით. მალე მიხეილ იაკუშინმა სამი ფეხბურთელი „დინამოს“ დუბლებში მიგვიწვია, ხელფასიც დაგვინიშნეს — 120-120 მანეთი. მაშინ ეს დიდი ფული იყო. პირველი ჯამაგირი შინ რომ მივიტანე, დედაჩემი გადაირია — რაღაც ცუდ ამბავში ხარ გახვეული, თორემ ამდენ თანხას შენ ვინ მოგცემდაო. დასტაცა ფულს ხელი და ბერძენიშვილთან გაიქცა — არიქა, მიშველე, შვილი მეღუპებაო. ბატონმა მიხეილმა დაამშვიდა — შენს შვილს ხელფასი აქვს დანიშნული და ეს თანხა პატიოსნად გამოიმუშავაო.

სამჯერ მოვასწარი ხელფასის აღება. გუნდში იაკუშინის ნაცვლად ბასა ღოლობერიძე მოვიდა და ახალწვეულები გუნდიდან დაგვითხოვა. ბორის პაიჭაძეს უთქვამს — სხვების არ ვიცი, მაგრამ ქუნთელიას დარტყმული ბურთი „შტანგას“ რომ მოხვდება, მოედნის ცენტრში ბრუნდება და ასეთ ფეხბურთელს გუნდიდან როგორ უშვებთო.

**— ოცნება რომ ვერ აისრულეთ, გული არ გაგიტყდათ?**

— ჰო, ფეხბურთზე ხელი ჩავიქნიე და ნოვოჩერკასკის უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარე. მეორე კურსიდან ჯარში გამიწვიეს. ერთ ხანს კუბაში ვიყავი, მერე აზერბაიჯანში ამოვყავი თავი. რომ გაიგეს ფეხბურთელი ვიყავი, ბაქოს არმიის სასპორტო კლუბში ჩამრიცხეს. ორი წელიწადი ვითამაშე მის შემადგენლობაში, 1964 წელს აზერბაიჯანის ჩემპიონიც გავხდი. სამხედრო სამსახურის ვადა რომ დამიმთავრდა, ისევ უმაღლეს სასწავლებელს მივაშურე და ნოვოჩერკასკის „ენერგიაში“ დავიწყე თამაში. ეს გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის „ბ“ კლასში გამოდიოდა. ერთ-ერთ მატჩზე როსტოვის სკას კაპიტანმა ვიქტორ პონედელნიკმა შემამჩნია. მეორე მსოფლიო ომის ბოლო წლებიდან მისი ოჯახი თბილისში ცხოვრობდა კარგა ხანს. ვიტია საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიწაფა დიდებული მწვრთნელისა და პიროვნების ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით. პონედელნიკმა ქართული კარგად იცოდა, თბილისელებს დიდ პატივს სცემდა. მისი რეკომენდაციით როსტოვის „როსტსელმაშში“ გადამიყვანეს. საფეხბურთო კარიერაც იქ დავასრულე 1970 წელს — ბაქოში მიღებული ტრავმა გამიმიზეზდა და იძულებული გავხდი, დიდი ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა.

**— თუმცა, ჭაბუკობის სიყვარულისთვის ზურგი არასოდეს შეგიქცევიათ...**

— დიახ, ტყავის ბურთის ქომაგად ვრჩები დღემდე.

**— ამჟამინდელ ქართულ ფეხბურთზე რას იტყვით?**

— დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბევრი ქარტეხილი გამოვიარეთ, რამაც ფეხბურთის განვითარებას ხელი შეუშალა, თუმცა უწინდელი დიდების აღსადგენად, მიმაჩნია, რომ მაინც საკმაო დრო გვქონდა. სავალალო ის არის, რომ ტრადიციები მივივიწყეთ. დოროხოვის, შუდრას, მარღანიას, სანაიას, კოტრიკაძის, ურუშაძის, გოგიას და გაბელიას ქვეყანაში მეკარეები უცხოეთიდან როგორ უნდა ჩამოგვყავდეს. კიდევ კარგი, რომ ბოლო დროს გამოცოცხლება იგრძნობა. ნაკრებიც უკვე ათამაშდა, აგერ სამმა ქართულმა გუნდმა ევროთასების მესამე საკვალიფიკაციო ეტაპს უწია. იმედია, ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღე უფრო უხვმოსავლიანი იქნება.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**





**სურათებზე: იუზა ქუნთელია (მარცხნივ) და ბაქოს სკას თავდამსხმელი ალექსანდრ კირილენკო; აზერბაიჯანის ჩემპიონი ბაქოს სკა: დგანან — მარცხნიდან მეორე- მიხეილ ახალკაციშვილი, მეკარე ბუტიკო რამიშვილი, მის გვერდით ბათუმელი რობერტ კარანიანი და იუზა ქუნთელია. 1964წ.**

## ინტერნეტიდან

### ისტორიაში პირველად

**დიდი სენსაცია მოხდა ძალზე პრესტიჟულ მრავალდღიან ველორბოლაზე „ტურ დე ფრანს“ პარიზში, ელისე ველზე რბოლის ფინალური ეტაპზე. ამ რბოლის ისტორიაში პირველად გაჩემპიონებულმა ავსტრალიელმა, 34 წლის კადელ ევანსმა თავისი გამარჯვება მიუძღვნა თავის ყოფილ მწვრთნელს, შარშან დეკემბერში კიბოთი გარდაცვლილ ალდო სასის.**

„მას მუდამ სჯეროდა ჩემი, შარშან ალდომ დამარწმუნა, რომ შემიძლია გამარჯვება და მე ეს მოვახერხე. საწყენია, რომ ის ჩვენს გვერდით აღარაა!“ — განაცხადა ჩემპიონმა ტელევიზიაში. ამ გამარჯვებით ავსტრალია გახდა მე-12 ქვეყანა, ვისმა მრბოლმაც ასეთ პრესტიჟულ ველორბოლაზე მოიპოვა ასეთი დიდი წარმატება. კადელ ევანსმა გასულ შაბათს ხელთ იგდო ლიდერის ყვითელი მაისური, 1 წუთითა და 34 წამით გადაასწრო რა ლუქსემბურგელ ანდი შლეკს.



რბოლის საუკეთესო სპრინტერად აღიარეს ბრიტანელი მარკ კავენდიში, რომელმაც ასევე გაიმარჯვა ფინალურ რბოლაზე, მაგრამ პარიზის ცენტრში, ელისეს მინდორზე გასვლისას მას ველოსიპედის გამოცვლა მოუხდა.

### თასი — მემკვიდრეობით

**უკვე იცით, რომ ამერიკის თასი მეთხუთმეტედ მოიპოვა ურუგვაის ნაკრებმა — ფინალში დაამარცხა რა პარაგვაის ნაკრები — 3:0.**



„კოპა ამერიკის“ გადამწყვეტი მატჩის გმირი კი ფორლანი გახდა. ამ გამარჯვებამ მას უნიკალური თავის გამოჩენის საშუალებაც მისცა — მან გაიმეორე თავისი პაპისა და მამის წარმატება, რომლებიც თავის დროზე თამაშობდნენ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში და ამ პრესტიჟულ თასსაც დაეუფლნენ.

„ეს თასი თავის დროზე მოიგო პაპაჩემმა დედის მხრიდან — ხუან კარლოს კორასომ და მამაჩემმა პაბლო ფორლანმა. ახლა იგივე გავაკეთე მეც. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი გვარი შევა ამ ტურნირის ისტორიაში, უნდა აღვნიშნო, რომ ეს წარმატება შეუდარებელია!“, — განაცხადა სამხრეთ აფრიკაში ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშემ.

აღმოჩნდა, რომ ხუან კარლოს კორასო სათავეში ედგა ნაკრების გამარჯვებებს 1959 და 1967 წლებში, ხოლო ფორლანის მამამ — პაბლომ თასი მოიგო, როგორც ნაკრების მოთამაშემ 1967 წელს.

### შარაპოვა პოპულარობას კარგავს?

**ჟურნალის Forbes ვერსიით მორიგი რეიტინგის შედეგების მიხედვით ჩოგბურთის ლამაზმანი მარია შარაპოვა პოპულარობას კარგავს. მან ექვსი წლის პირველობის შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა.** ლიდერი კი გახდა რეიტინგში პირველად მოხვედრილი მომღერალი სტას მიხაილოვი. ახალი მონაცემებით, მისი ყოველწლიური შემოსავალი 20 მილიონი დოლარია, შარაპოვასი კი — 24,8 მილიონი, მაგრამ მიხაილოვმა სპორტსმენ ქალს აჯობა ინტერნეტ-გამოკითხვით.



რეიტინგში მესამე ადგილზეა მომღერალი ალა პუგაჩოვა (5 მლ. 140 ათასი დოლარი), მან გადაასწრო კლუბ „ვაშინგტონის“ ჰოკეისტ ალექსანდრე ოვეჩკინს.

რეპლიკა

# აგენტებო, ფრთხილად!

**ჩვენი ხელისუფლების მიერ აგენტების ძებნის ისტერიამ ჯორჯ ორუელის პოლიტიკური სატირის გმირის – ლორების ბელადის სქუილერის ქცევა გამახსენა; ის ხომ ყველგან აგენტებს ეძებდა. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა ქვეშევრდომთ:** „თვალები ფართოდ გქონდეთ გახელილი, შენიღბული აგენტები ჩვენს შორისაც იმალებიან“. საქართველოშიც ყოფილან აგენტები. ჯერ იყო და რამდენიმე წლის წინათ კანცელარიაში აღმოაჩინეს აგენტი, ვინმე კილაძე, მაგრამ რომელი ქვეყნისა, არ განუცხადებიათ. მაშინ უმრავლესობა მღელვარებამ მოიცვა, ვაითუ კილაძემ ჩვენი ურანის საიდუმლო გასცაო. მახსოვს, მაშინ პრეზიდენტმა სპეციალური ბრძანებაც კი გამოსცა: „აგენტებო, დროზე აღიარეთ დანაშაული, მცირე დრო გაქვთ, გაპატიებთ, ერთი ღერი თმა არ ჩამოგივარდებათ თავიდან, სიტყვას გაძლევთ“. რამდენი კეთილშობილება, ჰუმანურობა იყო ამ ბრძანებაში. და ახლა, საოცარი ძალით იმძლავრა აგენტების ძებნამ. ძებნა დიდხანს არ დასჭირვებიათ, იქვე, ახლო აღმოაჩინეს – თავიანთ ფოტორეპორტიორთა შორის. შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ დააყოვნა და სპეციალური განცხადება გააკეთა.



ყველას ვაპატიებთ, ვინც აღიარებს აგენტობას, თავის დანაშაულსო. ჩვენს ხელისუფლებას მოფიქრებული აქვს აგენტების საკმაოდ გრძელი ჯაჭვი; ფოტორეპორტიორების აგენტობის საქმე ამ ჯაჭვის მხოლოდ ერთი რგოლია. საინტერესოა, ვის ვიხილავთ დანარჩენ რგოლებში, როგორც წესი, მათი ბრალეულობის სამხილის გარეშე?

ყოჩაღ, ხელისუფლებამ აირჩია მასებზე ზემოქმედების თავისი საკუთარი პოლიტიკა, დაფუძნებული ტყუილზე, ძალადობაზე.

სხვაგან ნუ ვეძებთ ნამდვილ დამნაშავეს, ისინი ცნობილია: რუსეთისთვის ქვეყნის ეკონომიკის, ენერგოსისტემის სრული დაქვემდებარება, ცხინვალის რაიონის სამხრეთ ოსეთად, ახალგორის ცხინვალის რაიონში აღიარება, კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად გამოცხადება, კოდორის ხეობაში არსებული დიდძალი სამხედრო ტექნიკის რუსეთისთვის დატოვება, ბრიყვულად დაკარგული ტერიტორიები და მრავალი სხვა.

ხელისუფალნო, ნაცარს ნუ გვაყრით თვალებში, არ გვჯერა, არ გვჯერა თქვენი „სიმართლისა“!

**ლონდა მდივანი**

დევნილთა სევდა

# განსახლების მესამე ტალღა დაიწყო...

**იმ დევნილებს, რომლებსაც საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ და თბილისში სხვადასხვა ობიექტებში უკანონოდ არიან შეჭრილები, სამინისტრო რეგიონებში გარემონტებულ ფართობებს საკუთრებაში გადაცემას სთავაზობს, იუწყება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.**



როგორც სამინისტროდან იტყობინებიან, თბილისში მდებარე 4 შენობაში დევნილები ბოლო 2 წლის განმავლობაში შეიჭრნენ და თვითნებურად ცხოვრობენ.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ინფორმაციით, მათი უწყება ფართობებს კახეთისა და სამეგრელოს რეგიონებში სთავაზობს.

– მით უმეტეს, რომ ამ დევნილთა დიდი ნაწილი ბოლო 2 წლის განმავლობაში სწორედ სამეგრელოდანაა ჩამოსული. დევნილთა ნაწილი კი, სახელმწიფოს მხრიდან ერთხელ უკვე დაკმაყოფილებულია და, შესაბამისად, მათი ხელმეორედ დაკმაყოფილება ვერ მოხდება. ბინების საკუთრებაში გადაცემის პარალელურად, სამინისტრო დევნილებს ადგილზეც ეხმარება, – აცხადებენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით მედიაკავშირ „ობიექტი.ტვს“ სტუდიაში, საერთოსახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა და დევნილთა პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები: დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა მოძრაობა, დევნილი სამოქალაქო საზოგადოებისთვის ერთობლივი ბრიფინგი გამართეს თემაზე – „დევნილთა მხარდამჭერი საპროტესტო აქციების დაწყება“. დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წევრებმა განსახლების პირველი და მეორე ტალღა გაიხსენეს, რასაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეც შეეწირა, დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის წევრმა მანუჩარ სიგუამ განაცხადა – 27 ივლისს, 7 საათზე, პარლამენტის წინ გაიმართება საპროტესტო აქცია. მან „ობიექტივის“ ღია ეთერით მოუწოდა მოსახლეობას, რომ შეუერთდეს ამ აქციას. თუმცა პირადად მე აბსოლუტურად საპირისპირო აზრი გამიჩნდა. რამდენიმე კვირის წინათ, ერთ-ერთ დევნილს უწყინარი კითხვა დავუსვი – რატომ არ შეუერთდით თქვენს თანამემამულეებს, მაშინ, როდესაც თბილისიდან შორს სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში ფოცხოეწერში გდევნიდნენ? დაბნეულმა ქალბატონმა მიპასუხა „შემეშინდა, იმის შემეშინდა, რომ მეც უსახლკაროდ არ დავრჩენილიყავი... დღეს, ვინ იცის, იქნებ განსახლების მესამე ტალღა ამ ქალბატონსაც შეეხო, რომელსაც ასე ეშინოდა გარეთ დარჩენისა. დაზღვეული ხომ ამ ქალაქში არავინაა...

**ირინა ოზოლაშვილი**

ტესტი

# შეიმოწმეთ ერუდიცია

**1. რა ჰქვია დღეს გერმანიის ქალაქს, რომელიც ადრე იყო კარლ-მარქს-შტადტი?**
ა) იენა;
ბ) გალე;
გ) ბრანდენბურგი;
დ) ჰემნიცი.

**2. ჯეკ ლონდონი – ეს არის ფსევდონიმი. რა იყო ამ მწერლის ნამდვილი გვარი?**
ა) სმიტი;
ბ) კლემენსი;
ნ) ჯონსონი;
დ) გრიფიტი.

**3. რომელი კოსმეტიკური პროცედურის სახელწოდებაა „შუგარინგი“?**
ა) მასაჟი;
ბ) ეპილაცია;
გ) პედიკიური;
დ) მზის აბაზანები.

**4. როგორ ამბობენ ცირკის მემკვიდრეობითი მსახიობების შვილებზე? დაიბადა...**
ა) თავლაში;
ბ) ნახერხში;
გ) გალიაში;
დ) ცირკში.

**5. რომელ მცენარეს უწოდებენ ბოტანიკურ „ალოეს“?**
ა) ნემსიწვერას;
ბ) ფიკუსს;
გ) ალოეს;
ლ) კაქტუსს.

**6. მეცნიერების რომელ დარგში აქვს მინიჭებული ნობელის პრემია ერთადერთ ქალს – ელინორ ოსტრონს?**
ა) ქიმიაში;
ბ) ეკონომიკაში;
გ) ფიზიოლოგიასა და მედიცინაში;
დ) ლიტერატურაში.

**პასუხები: 1. ჰემნიცი. 2. გრიფიტი. 3. ეპილაცია. 4. ნახერხში. 5. ალოე. 6. ეკონომიკის დარგში.**

**1. პირველად რომელმა ქვეყანამ ჩაძირა მტრის ხომალდი ტორპედოს დახმარებით?**
ა) დიდმა ბრიტანეთმა;
ბ) თურქეთმა;
გ) გერმანიამ;
დ) რუსეთმა.

**2. ამ მხატვრებიდან რომელმა დახატა სურათი „უძღები შვილის დაბრუნება“?**
ა) რუბენსმა;
ბ) რაფაელმა;
გ) რემბრანდტმა;
დ) რენუარმა.

**3. რომელი გამოგონების ისტორიაა დაკავშირებული სიმღერასთან „მერის ჰყავდა ცხვარი“?**
ა) მერი პიკფორდის ფლაპა;
ბ) ანბანი უსინათლოთათვის;
გ) სართავი მანქანა;
დ) ფონოგრაფი.

**4. რამდენი შაში აქვს თითო პარტნიორს საერთაშორისო შაშის თამაშის დროს?**
ა) 12;
ბ) 16;
გ) 20;
ვ) 34.

**5. ყველაზე იშვიათად რომელი ფერი გვხვდება ბუნებაში?**
ა) წითელი;
ბ) ყვითელი;
გ) იისფერი;
დ) ლურჯი.

**6. რომელი სიტყვებით იწყება აკაკი წერეთლის „გაზაფხული“?**
ა) „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა...“
ბ) „ლამაზო გამაო, მომიხილე...“
გ) „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად...“
დ) „ისმინე, სწავლის მქონელო...“

**პასუხები: 1. რუსეთმა. 2. რემბრანდტმა. 3. ფონოგრაფი. 4. 20. 5. იისფერი. 6. „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად...“**

ინფორმაცია

## საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მეორე ცდამაც არ გაამართლა

**საქართველოს მოქალაქე, 27 წლის თბილისის მცხოვრები, რომელიც მოლდოველმა მესაზღვრეებმა დააკავეს, არალეგალურად ტბა პრუტის გადაცურვას ცდილობდა. მამაკაცს თან აღმოაჩნდა ორი ზურგჩანთა, რომელშიც პირადი ნივთები იდო, სამაშველო რგოლი და ჟილეტი, რაც ადასტურებს იმას, რომ მამაკაცი სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას აპირებდა. ინფორმაცია ამის შესახებ მოლდოვური მედია ავრცელებს.**

**შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ 27 წლის თბილისელს ევროკავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში გადასვლა უნდოდა, რათა იქ მაღალანაზღაურებადი სამუშაო ეშოვა. ამასთან ერთად, შემოწმების შედეგად გაირკვა ის, რომ დაკავებული 10 დღის წინათაც ცდილობდა დაეტოვებინა მოლდოვის ტერიტორია, მაგრამ ვინაიდან მისი საბუთები წესრიგში არ იყო, მას ქვეყნის დატოვება აეკრძალა.**

**ქართველმა აღიარა, რომ მან ვერ შეძლო ლეგალურად ევროკავშირის ქვეყანაში გადასასვლელად საბუთის გაკეთება და ამიტომაც ქვეყანაში შეღწევა უკანონო გზით გადაწყვიტა. ამ დროისათვის კანონდამრღვევი მოლდოვის პოლიციაშია დაკავებული.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა

**აღნიშნულ საკითხს მთავრობის დადგენილება ითვალისწინებს, რისი საფუძველიც გასულ თვეს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგია.**

**მთავრობის დადგენილებითვე, არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას, კვლავ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს.**

**იმავდროულად, ფინანსთა სამინისტროს დაევალა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტისთვის გათვალისწინებული ასიგნებები, თავდაცვის სამინისტროს გადასცეს.**

**თავდაცვის სამინისტროს ასევე უფლება ექნება, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში მომუშავის გაგრძელებაზე უარის თქმის, ან შტატის ან თანამდებობის გაუქმების გამო, თანამშრომლებს სამსახურებრივი ურთიერთობა შეუწყვიტოს.**

ინტერპრესი



ჩხეიძეთა საგვარეულო სახლი ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი ქართველი კაცისა და მამულიშვილის

**ამირან ჩხეიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს. პანაშვიდი 26, 27 VII, 17 სთ. მისამართი: ნინო ჟვანიას ქ. №4, გამოსვენება 28 VII, 14 სთ. წმინდა მარინეს სახელობის ტაძრიდან, დუშეთის ქ. 12 (მეტროს სადგურ „ავლაბრის“ მიმდებარედ).

ყოფილი თანამშრომლები და კოლეგები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება, კეთილსინდისიერი მუშაკი, ერთგული მეუღლე, დედა და ბებია, ქალბატონი

**ელზა ჟელიძე-ბაქრაძისა**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს. პანაშვიდი 26, 27 VII, 17 სთ. დაკრძალვა 28 VII, 14 სთ. მის: საბურთალოს ქუჩა №40, I სადარბაზო, VI სართული.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

ნარდი

# გოგი ბუკიას მეხუთე მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი აჭარის „ოაზისში“






**2007 წელს საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხოზის“ ინიციატივით დაფუძნდა უდროოდ გარდაცვლილი ქართველი ჟურნალისტის, შესანიშნავი მოქალაქისა და ნარდის დიდი მოყვარულის გოგი ბუკიას მემორიალური ღია საერთაშორისო ტურნირი ნარდში. ტურნირი ტარდება ნარდის საერთაშორისო წესების გათვალისწინებით.**

პირველი ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ საქველმოქმედო ფონდი „ხოზი“ და საქართველოს ნარდის ასოციაცია.

2008 წლიდან გოგი ბუკიას მემორიალური ტურნირი შეტანილია საერთაშორისო გათამაშებათა ცხრილში. მას ხელმძღვანელობს ნარდის მსოფლიო ასოციაცია, მისი პრეზიდენტის ბატონი ჩივა ტაფაზოლის (გერმანიაძ ხელმძღვანელობით.

2008 წელს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ჩატარდა მეორე ტურნირი, რომელზეც თავი მოიყარეს მსოფლიოს 13 ქვეყნის 80-მდე მონაწილემ აშშ-დან, იტალიიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, ირანიდან, შვედეთიდან, ისრაელიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, სომხეთიდან, რომელთა შორის იყვნენ ნარდის სამყაროში მეტად ავტორიტეტული და მაღალრეიტინგული წარმომადგენლები.

ტურნირის მასპინძლები ცდილობენ, კარგ ორგანიზაციასთან ერთად, სტუმრებს მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდონ ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესახებ. ტურნირის მონაწილეები ათვალიერებენ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს.

2008 წელს, ტურნირის დამთავრებისთანავე, ნარდის მოყვარულთა ერთ-ერთ პოპულარულ ინტერნეტსაიტზე გამოქვეყნდა თბილისის ტურნირისადმი მიძღვნილი სტატია ტურნირის ორგანიზატორების, მასპინძელი სასტუმროს, მედიის დაინტერესების, ქართველ მონარდეთა პროფესიონალიზმის და ზოგადად საქართველოში ნარდის კულტურის თაობაზე, განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა ქართველი ხალხის, მისი კულტურის, ადათ-წესებისა და სტუმართმოყვარეობის შესახებ. „ეს იყო ფანტასტიკური კვირა, დაუვიწყარი და იმედის მომცემი, რომ ის ყოველ წელს გაიმართება“ — ნათქვამი იყო სტატიის ბოლოს.

მართლაც, გოგი ბუკიას მემორიალმა ამ წლების განმავლობაში ბევრი მეგობარი შესძინა ჩვენს ქვეყანას.

წლეულს გოგი ბუკიას მეხუთე საიუბილეო მემორიალს აჭარა — კერძოდ კი ჩაქვის სასტუმრო „ოაზისი“ მასპინძლობს. უკვე ცნობილია, რომ მემორიალში მონაწილეობენ ესპანეთის, პორტუგალიის, გერმანიის, საბერძნეთის, თურქეთის, ირანის, სომხეთის და, რა თქმა უნდა, საქართველოს წარმომადგენლები. შესაძლოა, ამ ჩამონათვალს კიდევ რამდენიმე ქვეყანა დაემატოს.

(გოგი ბუკია წლების განმავლობაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი იყო სამეგრელოს მხარეში. ამიტომაც მისი მემორიალი, როგორც ჟურნალისტის სახელის უკვდავება, ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოაძ.

**მაშ ასე: 1-5 აგვისტოს კიდევ ერთი, საერთაშორისო ტურნირი გიხმობთ, ნარდის მოყვარულებო. თქვენ აჭარის ზღაპრული „ოაზისი“ გელოდებათ!**

**მემორიალში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ნარდის ფედერაციას. ტელ: 899 70 05 05.**

**სოსო ქობულაძე**

**სურათებზე: შარშანდელი ტურნირის მომენტები.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**





## ანეკდოტები

მიხო დილის ოთხი საათისთვისღა მივიდა სახლში.

— სად ჯანდაბაში დაეხეტებოდი? — კაპასობს ცოლი.

— კინოში ვიყავი და იცოდე, პირველ ჩვენებას არ გადავუხვევ!

* * *

კინოლოგმა მიხომ თავისი ძაღლი წაიყვანა კინოლოგ მაროს ძაღლთან შესაჯვარებლად. მათ ტყუპები შეეძინათ. ძაღლებს კი რვა ლეკვი.

* * *

შესანიშნავი ქვეყანაა ირანი. მხოლოდ იქ შეიძლება ცოლმა მეორე ქალთან წაგასწროს და არაფერიც არ მოგივა, რადგან ეს უკანასკნელი შესაძლოა, შენი მეორე ცოლი იყოს.

* * *

იმის მტკიცება, ვისაც „ვეფხისტყაოსანი“ თუ „დიდოსტატის მარჯვენა“ არა აქვს წაკითხული, არ შეიძლება კულტურულ ადამიანად ჩაითვალოსო, საკმაოდ საკამათოდ მეჩვენება. მე ვიცი ბევრი კულტურული და ერთობ ცნობილი ადამიანი, ვისაც ეს წიგნები არა აქვს წაკითხული. მაგალითად, ვოლტერი, შექსპირი, ციცერონი, პლატონი, არისტოტელე და ბევრი სხვა.



## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხი ბრძოლისთვის სხვადასხვა რიტუალით ემზადებოდა. ზოგიერთის საბრძოლო შეიარაღებაში იარაღის გარდა გარეგნული მხარეც შედიოდა, რამაც გარკვეულწილად შეცდომით დაამკვიდრა მათი რასობრივი წარმომავლობა. ამ მონღოლოიდური რასის ამერიკელ წარმომადგენლებს წითელკანიანები — ინდიელები ეწოდება.

● ძველ ეგვიპტეში სასახლის ერთ-ერთი მომსახურე პერსონალის თანამდებობას „მარცხენა მხარეს მატარებელი“ ერქვა. ძველი რომაელები კი ამისთვის სპეციალურად ფარშევანგებს ამრავლებდნენ, რადგან მისგან მარაოს აკეთებდნენ.

● პრესის ცნობით, იაპონიის ქალაქ იოკოჰამაში ქალაქის საბჭოს სხდომათა დარბაზიდან სხდომის მონაწილეთა ყურადღების მოდუნების აცილების მიზნით გაიტანეს სკამები, სხდომის მონაწილეებს რომ არ ჩაეძინოთ.

● პარიზის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოუშვა კარტი, რომელზეც ლიონელი მხატვარ ჟან პერსონის 1493 წლის ნამუშევრებია გამოსახული. მაგალითად, გულის პაპა ბურგუნდიის ჰერცოგია, გულის ქალი — მშვენიერი ელენა, გულის ვალეტი — ფლანდრიის გრაფი, აგურის ქალი — ჟანა დ' არკი.

● ძველ რომაულ კალენდარში თებერვალში, ნაკიან წელიწადში, 29 თებერვლის ნაცვლად ორი 24 თებერვალი იყო და ამ თვეს „ბისექტესი“ ერქვა.

● ბელორუსიული ცეკვა „ბულბას“ შესრულებისას მოცეკვავეებს ხელები ზურგს უკან აქვთ წელზე შემოწყობილი, რადგან ეს ცეკვა კარტოფილის მოსავლის აღების დროს სრულდებოდა და შემსრულებლები ჭუჭყიან ხელებს ზურგს უკან მალავდნენ.

● იტალიაში მოქალაქეთა პასპორტებში სხვა მონაცემებთან ერთად მფლობელის ხმის ტემბრი იყო აღნიშნული.

მოგვაწოდა ტიტე კოპალეიშვილმა



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6651 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4176 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6790 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9888 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5141 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1163 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0886 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0309 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5764 ლარი |



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24